საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 282 (10368) | სამშაბათი, 29 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

# ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთში

ბანგალორი, 26 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი ეწვივნენ ინდოეთის სამეცნიერო ინსტიტუტს ბანგალორში. სტუმრებმა დაათვალიერეს ამ ინსტიტუტის სხვადასხვა განყოფილება, რის შემდეგ ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა კ. სრინივასანმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მრავალი სტუმრის თანდასწრებით სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. შემდეგ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერეს ბანგალორის კიდევ ერთი სამრეწველო საწარმო — ჩარხსაინსტრუმენტო ქარხანა, სადაც განმარტებებს იძლეოდა საწარმოს დირექტორი აფტაბრაი.

უფრო გვიან მოეწყო „სამოქალაქო დარბაზობა" ([illegible] მიტინგი) საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად. მიტინგს დაესწრნენ შტატის რაჯპრამუქხი (მმართველი), ადგილობრივ ხელისუფალთა სხვა წარმომადგენლები და ბანგალორის 200 ათასამდე მცხოვრები. ამ მიტინგზე ქალაქის მერის მისასალმებელი ადრესის პასუხად ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა ვრცელი, მკაფიო სიტყვა საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე, რამაც ინდოეთის საზოგადოებრიობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

# ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ს ს ი ტ ყ ვ ა

## საერთო-საქალაქო მიტინგზე ბანგალორში 1955 წლის 26 ნოემბერს

მეგობრებო, ძმებო!

ნება მიბოძეთ პირადად ჩემგან, ჩემი მეგობრის ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის და თქვენს ქვეყანაში შესანიშნავი მგზავრობის ჩვენი თანმხლები ყველა მეგობრის სახელით მადლობა გადაგიხადოთ მოწვევისათვის, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა გვენახა თქვენი მაისორის შტატი, თქვენი შესანიშნავი ქალაქი ბანგალორი. (ტაში).

მე აგრეთვე მადლობას ვუძღვნი მაისორის შტატის რაჯპრამუქხს ბ-ნ ჯაია ჩამარაჯა ვადიარ ბაჰადურს, მთავარ მინისტრს ბ-ნ კ. ჰანუმათჰაიას, ქალაქის მერს ბ-ნ ვ. პ. დინადაიალ ნაიდს, რომლებიც ასე კარგად ლაპარაკობდნენ ჩვენს ქვეყანაზე, საბჭოთა კავშირის მიღწევებზე. (ტაში).

აი უკვე რამდენიმე დღეა ვიმყოფებით თქვენს დიდ ქვეყანაში. ჩვენი მოგზაურობა და ინდოეთის გაცნობა ისე სწრაფად ხდება, რომ დღეებს ვეღარ ვითვლით. მაგალითად, დღეს მე და ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ვკამათობდით იმაზე, თუ რა დღეა დღეს — შაბათი თუ კვირა. (**დამსწრეთა მხიარული გამოცოცხლება**).

იმ დღეებში, რომლებიც ინდოეთში გავატარეთ, ჩვენ ბევრი რამ ვნახეთ, ბევრი რამ გავიცანით. ჩვენ დაგვიგროვდა უამრავი შთაბეჭდილება. დღეს ჩვენ გავიარეთ თქვენს შესანიშნავ ქალაქში. რამდენი მოზრდილი ადამიანი, რამდენი ბავშვი გამოვიდა ქუჩებში, რამდენი მისასალმებელი შეძახილები იყო, რომლებიც გამოხატავდნენ ინდოელი ხალხის მეგობრულ გრძნობებსა და სიყვარულს საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. (ტაში).

ჩვენ ძალიან პატარა ადამიანები ვიქნებოდით, რომ გვეფიქრა, რომ ეს მეგობრული გრძნობა და სიყვარული, რასაც ინდოელი ხალხი გამოხატავს, გვეკუთვნის პირადად მე, ჩემს მეგობარ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს და ჩვენთან ერთად ჩამოსულ სხვა ჩვენს მეგობრებს. ეს გრძნობები გამოხატავდნენ ინდოელი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი.

რით დაიმსახურეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა ინდოეთის დიდი ხალხის ასეთი დიდი სიყვარული და ასეთი მხურვალე მადლიერება?

ამ საკითხს მე იმიტომ ვაყენებ, რომ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენას, რომელიც ახალ საწყისებზე მოეწყო, კაპიტალისტური სამყარო შეხვდა ძალიან არამეგობრულად და მტრულადაც კი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი სახელმწიფო, როგორც ცნობილია, განუხრელად იზრდებოდა და ვითარდებოდა.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის დასაწყისიდან ჩვენ დიდი გზა განვლეთ. დიდმა ლენინმა და მის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ მაღლა ასწიეს მშვიდობისათვის, ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის დროშა, და ეს დროშა ასწია ყველა ხალხმა. ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების წარმოშობის პირველ ხანებში ღარიბი და გაჩანაგებული იყო. მრეწველობა დანგრეული გვქონდა. მეტი წილი მოსახლეობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. და სწორედ ამ პირობებში საჭირო იყო ლენინის გამჭრიახობა, მისი გაბედულება და შორსმჭვრეტელობა, რომ დაენახა ახლად ჩასახული მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დიადი მომავალი და გასძღოლოდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს.

მაშინ მტრები ამბობდნენ, ერთი წელიც არ გავა და საბჭოთა სახელმწიფო დაიშლებაო, ლენინს, ბოლშევიკებს არაფერი არ გამოუვათო.

როგორ მიგაჩნიათ ახლა თქვენ? გამოდგებიან ეს ვაჟბატონები წინასწარმეტყველებად თუ მათ არა აქვთ ადგილი წინასწარმეტყველებში. (**გამოცოცხლება დამსწრეთა შორის**).

საბჭოთა ქვეყანა, როგორც თქვენ იცით, არათუ არ დანგრეულა, არამედ, პირიქით, გაიზარდა მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს მძლავრი მრეწველობა და დიდად განვითარებული ეკონომიკა.

რა არის ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძალა? იგი ხომ წარმოიშვა ყველა კაპიტალისტური ქვეყნის წინააღმდეგობის პირობებში, არავითარი დახმარება და კაპიტალები არავისაგან არ მიუღია, პირიქით, ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ყოველნაირად გვიშლიდნენ ხელს აგვეშენებინა საბჭოთა სახელმწიფო. ჩვენს წინააღმდეგ აწყობდნენ ომებს, ეკონომიურ ბლოკადებს, გვიქმნიდნენ ყოველგვარ სხვა დაბრკოლებას, და, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენი ქვეყანა წლითიწლობით იკრებდა ძალებს, აშენებდა ქარხნებსა და ფაბრიკებს, აშენებდა უნივერსიტეტებს, ინსტიტუტებს, სკოლებს, ამაღლებდა კულტურას და განუხრელად მიდიოდა წინ.

ჯერ კიდევ საკითხავია, ვის უფრო მეტი ინტელიგენცია ჰყავს, ვის უფრო მეტი ინჟინრები ჰყავს: საბჭოთა კავშირს თუ რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

მაშ რა არის ჩვენი ძალა? ჩვენი ძალაა ხალხი. ხალხი მთავარი კაპიტალია. იგი ყოველივე იმის შემოქმედია, რაც კაცობრიობამ შექმნა.

ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ თუ ხალხი, რომელმაც თავისი ქვეყნის განთავისუფლება მოიპოვა, დღეს წერაკითხვის უცოდინარია, ხვალ იგი წერაკითხვის მცოდნე იქნება. თუ დღეს ადამიანი წერაკითხვის უცოდინარია, ხვალ იგი არა მარტო წერაკითხვის მცოდნე იქნება, არამედ მას შეუძლია გახდეს ინჟინერი, მეცნიერი.

ჩვენ, როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არა გვყავდა საკუთარი ინტელიგენცია, ახლა კი ჩვენ გვყავს საკუთარი მრავალრიცხოვანი სახალხო ინტელიგენცია. ეს არის ინტელიგენცია, რომელიც გამოვიდა მუშათა და გლეხთა ფენებიდან. (ტაში). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს, მეგობრებო, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა. (ტაში).

რით აიხსნება, რომ თქვენ ასე მხურვალედ გვიკრავთ ტაშს და ასე მეგობრულად გვხვდებით? ჩვენ ხომ ზოგიერთი გვლანძღავს. არ დავიწყებ პროპაგანდას და არ დაგისახელებთ იმათ, ვინც გვლანძღავს. თქვენ თვითონ კითხულობთ გაზეთებში, თუ რას წერს ბურჟუაზიული პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი ჩვენი მგზავრობის შესახებ ინდოეთში. მაგრამ თქვენ იმათი არ გჯერათ. არ გჯერათ იმიტომ, რომ იცით, ყოველივე ის სიბინძურე, რასაც ისინი ჩვენზე წერენ, ცილისწამებაა. (ტაში).

და ჩვენ ასეთ მჯღაბნელებს ვეუბნებით: წერეთ, რაც გსურთ, ილაპარაკეთ, რაც გსურთ, — კარგს ცუდი ვერ მიეცხება. (**გამოცოცხლება დამსწრეთა შორის**). მოგიყვანთ ერთ ხალხურ ანდაზას: ადამიანი მიდის, ძაღლი ყეფს, მისი ყეფა ქარს მიაქვს, ადამიანი კი სულ მიდის და მიდის წინ. (**სიცილი**).

და აი ჩვენც მივდივართ საკუთარი გზით, ისეთი გზით, რომლითაც კაცობრიობას ჯერ არ უვლია, — სოციალისტური მშენებლობის გზით. ჩვენი ქვეყანა მთელ კაცობრიობას უკაფავს ნათელი მომავლის გზას.

ჩვენი ხალხი კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს, და იგი მიაღწევს თავისას — ააშენებს კომუნიზმს!

თქვენ შეგიძლიათ სხვადასხვანაირად მოეპყროთ ჩვენს იდეებს. ჩვენ და თქვენ შეიძლება მთელი რიგი საკითხების სხვადასხვანაირი გაგება გვქონდეს. თქვენ თვითონ აირჩიეთ თქვენი განვითარების გზა, როგორიც უფრო მოგწონთ. ჩვენ ამაში არათუ ხელს არ შეგიშლით, არამედ დაგეხმარებით თქვენს კარგ საქმეებში, რომელთა მიზანია თქვენი ქვეყნის განვითარება, თქვენი კეთილშობილი და დიდი ხალხის სარგებლობა. (ტაში). ჩვენ ვამბობთ: შეიძლება რაიმე გამოგადგეთ ჩვენი პრაქტიკიდან. თუ გამოგადგებათ — გამოიყენეთ, თუ არ გამოგადგებათ — ნუ გამოიყენებთ. ჩვენ არავის არაფერს არ ვახვევთ თავს, არავითარ პოლიტიკურ ვალდებულებას არ მოვითხოვთ. რატომ გელაპარაკებით ასე გულახდილად? იმიტომ, რომ გულწრფელად გეპყრობით, როგორც ძმებს. (ტაში).

თქვენ განსაკუთრებულად გვხვდებით, და ჩვენ ამას ვგრძნობთ. ინდოეთის ბევრ ქალაქსა და სოფელში ვიყავით და ბევრი რამ ვნახეთ. დღეს ინდოეთი მოგვაგონებს მძლავრ ნაკადს, რომელმაც გაანგრია ზღუდეები, მას რომ აკავებდნენ, და გავრცელდა სიგანით და სიღრმით. ეს ნაკადი შიშის ზარსა სცემს ძველ სამყაროს. ჩვენ კი გვიხარია, რომ ინდოელმა ხალხმა თავი დააღწია კოლონიურ მონობას, რომ ინდოეთი დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა. (ტაში).

რატომ ვეპყრობით ასე ინდოეთს და რატომ არა სურს ინდოეთის დამოუკიდებელი განვითარება ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს? იმიტომ, რომ ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ვისარგებლოთ თქვენი სამრეწველო განვითარების სისუსტით, მაშინ როცა ზოგიერთ სხვა ქვეყანას სურს ამ სისუსტეზე ხელი მოითბოს.

ჩვენ გვსურს, რომ თქვენ უფრო მალე ააგოთ ქარხნები და ფაბრიკები. დღეს თქვენ გვიჩვენეთ კარგი ინსტიტუტი. მაგრამ გავა დრო, და თვითონ დაინახავთ, რომ ეს პატარა ინსტიტუტია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ ინდოეთი ეკონომიურად გახდეს ისეთივე დიდი და მტკიცე სახელმწიფო, როგორი დიდი სახელმწიფოც იგი დღეს არის თავისი სულით, თავისი კულტურით და მორალური სიდიადით. ჩვენ გვსურს, რომ მას ჰქონდეს დიდადგანვითარებული მრეწველობა, მოწინავე სოფლის მეურნეობა და ხალხის ცხოვრების მაღალი დონე. ჩვენი მხრივ, მზად ვართ ხელი შეგიწყოთ ამ კარგ და შესანიშნავ საქმეში. (ტაში).

მეგობრებო!

ბატონმა ქალაქის მერმა თავის სიტყვაში კარგად ილაპარაკა ხუთ პრინციპზე, რომლებიც პირველად გამოცხადდა ერთობლივ დეკლარაციაში, რომელსაც ხელი მოაწერეს ბატონმა ნერუმ და ჩვენმა დიდმა მეგობარმა ჯოუ ენლაიმ. (ტაში). ეს პრინციპები დადასტურებულ იქნა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის განცხადებაში, რომელსაც ხელი მოვაწერეთ მოსკოვში ბატონ ჯავაჰარლალ ნერუს საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს. სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე ვაშენებთ ჩვენს ურთიერთობას თქვენს ქვეყანასთან.

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ და თქვენ ერთმანეთს არ ვეთანხმებით ზოგ რამეში — მეთოდებშიც და თეორიაშიც. ჩვენ ამას არ ვმალავთ, და არც თქვენ მალავთ. მაგრამ ეს ხელს როდი გვიშლის მეგობრები ვიყოთ. რატომ? იმიტომ, რომ არც თქვენ და არც ჩვენ ცუდს არაფერს ვუპირებთ ერთმანეთს. თქვენ ნამდვილად ჩვენი გულწრფელი მეგობრები ხართ, და ჩვენ თქვენი საუკეთესო მეგობრები და ძმები ვართ. (ტაში). აი სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის მკაფიო მაგალითი.

ჩვენ ვეუბნებით ყველა ქვეყანას: მოდით ვიცხოვროთ მეგობრულად, ნაცვლად ჩხუბისა და ყოველგვარი თავდასხმისა პრესაში და სიტყვებში. ამასთან გულახდილად ვამბობთ, რომ არ მოგვწონს კაპიტალისტური მეთოდი მეურნეობის ორგანიზაციაში, ისევე როგორც ყველას როდი მოსწონს ჩვენი მეთოდები.

მოდით პრაქტიკით შევამოწმოთ, ვისი სისტემა უკეთესია, — მოვუწოდებთ ჩვენ კაპიტალისტური სახელმწიფოების მოღვაწეებს. მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს უომრად. (ტაში). განა ეს ცუდი წინადადებაა? ეს ხომ უკეთესია, ვიდრე იმის თქმა — მოდით შევეჯიბროთ, ვინ უფრო მეტ იარაღს შექმნის და ვინ ვის დაამარცხებს. ეს ანტიხალხური შეჯიბრებაა, ადამიანთა მოსპობაში შეჯიბრებაა. ხოლო ჩვენი წინადადებაა მშვიდობიანი შეჯიბრება ყველა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ და მუდამ დავუჭერთ მხარს ისეთ შეჯიბრებას, რომელიც ხელს უწყობს ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას ცხოვრების უფრო მაღალ დონეზე. ამიტომ ჩვენი წინადადებანი ძალიან ნათელი და გასაგებია. ისინი გასაგებია ყველა ადამიანისათვის. და მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირის ასეთ ნათელ და სამართლიან პოზიციას მიესალმება ინდოელი ხალხი. მაგრამ საჭიროა საღად ვუყუროთ საგნებს და სწორად შევაფასოთ ვითარება. ცნობილია, რომ ყოველი ცხოველი იკვებება თავისი საკვებით. ვეფხვი, მაგალითად, იკვებება ხორცით, ხოლო კამეჩი — ბალახით. შეუძლებელია კამეჩი ვაიძულოთ იკვებოს ხორცით, შეუძლებელია ვეფხვი ვაიძულოთ იკვებოს ბალახით. (**გამოცოცხლება დამსწრეთა შორის**). შემდეგ აღარ განვავითარებ ამ აზრს, რომ არ დამწამონ პროპაგანდა. ვფიქრობ, რომ იგი თქვენთვის გასაგებია. (**ტაში, გამოცოცხლება დამსწრეთა შორის**).

მეგობრებო! ჩვენ გამოვდივართ მეტად გარკვეული წინადადებებით განიარაღების შესახებ. ბატონმა ქალაქის მერმა უკვე თქვა აქ, რომ ჩვენ შევამცირეთ ჩვენი შეიარაღებული ძალები 640 ათასი კაცით. ჩვენ გავაუქმეთ ჩვენი პორკალა-უდის ბაზა ფინეთში, ხელი ავიღეთ სამხედრო-საზღვაო ბაზაზე, რომელიც გვქონდა პორტ-არტურში.

საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის ხმარება, შეიტანა წინადადებები ჩვეულებრივ სახეობათა იარაღის შემცირების შესახებ. ჩვენ შევიტანეთ წინადადება დაწესდეს ქმედითი კონტროლი. ჩვენ კი გვეუბნებიან, სანამ არ დათანხმდებით ისეთი სახეობის კონტროლზე, რომელიც საშუალებას მისცემს შეერთებულ შტატებს კონტროლი გაუწიონ ჰაერიდან საბჭოთა კავშირის ტერიტორიას და, პირიქით, საბჭოთა კავშირს — კონტროლი გაუწიოს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიას, ჩვენ არ ვილაპარაკებთ თქვენთან განიარაღების საკითხებზეო.

ყველასთვის ცხადია, რომ ასეთი სახეობის კონტროლი მიუღებელია, რადგან იგი არ წყვეტს პრობლემას. წარმოიდგინეთ, რომ ამერიკის თვითმფრინავები იწყებენ ფრენას საბჭოთა კავშირში, ხოლო საბჭოთა თვითმფრინავები — ამერიკის შეერთებულ შტატებში. რა სარგებლობას მოგვიტანს ეს? თვითმფრინავი დაფრინავს, და მფრინავი ხედავს: ეს ქალაქია, იქ კი სოფელი. აი დგანან ჯარები, იქ განლაგებულია ესა და ეს ქარხნები. დავუშვათ, რომ ჩვენ დავინახავთ: ამერიკელებს ბევრი აეროდრომი აქვთ, მაშასადამე, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: ჩვენც უნდა ძალღონე მოვიკრიბოთ, რომ არ ჩამოვრჩეთ, და ავაშენოთ კიდევ რამდენიმე აეროდრომი. (**გამოცოცხლება დამსწრეთა შორის**). ამერიკელები თავის მხრივ ნახავენ, თუ რა გვაქვს ჩვენ, და იტყვიან, რომ მათ უნდა ჰქონდეთ კიდევ უფრო მეტი აეროდრომი, თვითმფრინავი, და შესაძლოა, კიდევ სხვა რამე.

მაშასადამე, თუ ჩვენ მივიღებთ ასეთ წინადადებას, ამას მოჰყვება მხოლოდ გამალებული შეიარაღება. ჩვენ ვეუბნებით დასავლეთის სახელმწიფოთა სახელმწიფო მოღვაწეებს: თუ თქვენ გეშინიათ განიარაღდეთ, მოსპოთ თქვენი ბომბების მარაგი, მოდით მივცეთ ერთმანეთს პატიოსანი ჯენტლმენური სიტყვა, რომ არც ერთი ჩვენგანი არასოდეს არ იხმარს ატომურ იარაღს. ისინი გვიპასუხებენ, რომ არ შეუძლიათ ასეთი სიტყვის მოცემა, რადგან წყალბადისა და ატომური ბომბები მათ თითქოს სჭირდებათ „წონასწორობისათვის". ხოლო რას ნიშნავს ასეთი „წონასწორობა"? ეს არის გამალებული შეიარაღება. მაშასადამე, დიდი სახსრები, ხალხის შრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება არა სახელმწიფოს მშვიდობიან განვითარებას, არამედ სამხედრო მიზნებს. შეგვიძლია თუ არა ჩვენ შემდეგშიც ცალმხრივად განვახორციელოთ შეიარაღების შემცირება მაშინ, როცა დასავლეთის სახელმწიფოებს ეს არა სურთ? ამაზე მე ვუპასუხებ ასეთი რუსული ანდაზის სიტყვებით: მგლებში თუ ცხოვრობ, მგლურად იყმუვლეო. (**გამოცოცხლება დამსწრეთა შორის**).

თუ დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ აკრძალონ ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება, არა სურთ თუნდაც სიტყვა მოგვცენ მისი ხმარების აკრძალვის შესახებ, ეს გვაიძულებს ჩვენც ვაწარმოოთ ატომური და წყალბადის ბომბები, რაკეტის ტექნიკა და გაულეტის ყოველგვარი სხვა საშუალებანი.

დღეს ბევრი ქვეყნის გაზეთებში, მათ შორის ინდოეთის ზოგიერთ გაზეთშიც, გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში იყო ატომური ბომბის აფეთქება. მე არ ვიტყვი, რომ ასეთი აფეთქება არ ყოფილა. (**გამოცოცხლება დამსწრეთა შორის, სიცილი**). ასეთი აფეთქება მართლაც იყო. ეს იყო არაჩვეულებრივი ძალის აფეთქება. ხვალ ჩვენი პრესა ამის გამო გამოაქვეყნებს შესაბამის ცნობას.

ამ ბოლო დროს ატომის ენერგიის დარგში სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ სამუშაოთა გეგმის შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში მოხდა ახალი ტიპის ატომური და თერმოატომგულის (წყალბადის) იარაღის გამოცდა. ამ გამოცდამ სავსებით გაამართლა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გაანგარიშებანი. მან ცხადყო აგრეთვე საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების ახალი დიდმნიშვნელოვანი მიღწევები. წყალბადის ბომბის უკანასკნელი აფეთქება დღემდე მომხდარ ყველა აფეთქებაზე უფრო ძლიერი იყო. ჩვენმა მეცნიერებმა და ინჟინრებმა შეძლეს შედარებით მცირე რაოდენობის ატომგულის მასალების გამოყენებით მიეღოთ აფეთქება, რომლის ძალა უდრის რამდენიმე მილიონი ტონა ჩვეულებრივი ფეთქებადი მასალის აფეთქებას. მაგრამ მე ვაცხადებ, მეგობრებო, რომ საბჭოთა კავშირი არასოდეს არ გამოიყენებს ბოროტად ამ იარაღს (**ტაში, გამოცოცხლება დამსწრეთა შორის**), და ჩვენ ბედნიერი ვიქნებით, თუ ეს ბომბები არასოდეს არ აფეთქდება ქალაქებსა და სოფლებში. (ტაში). დაე ეს ბომბები ეწყოს და დაე მოქმედებდეს იმათ ნერვებზე, ვისაც სურს გააჩაღოს ომი. დაე იცოდნენ, რომ ომის გაჩაღება არ შეიძლება, იმიტომ რომ თუ დაიწყებ ომს, მიიღებ ჯეროვან პასუხს. (**გამოცოცხლება დამსწრეთა შორის**).

ჩვენ გვაიძულეს დაგვეწყო ამ საშინელი სახეობის იარაღის წარმოება. ეს როდი ალგვაფრთოვანებს. ჩვენ უფრო მეტი კმაყოფილებით ვმუშაობთ იმაზე, რომ მეტი სხვადასხვა მანქანა, ტრაქტორი, გუთანი გამოვუშვათ, მეტი ხორბალი, ბრინჯი, ბამბა მოვიყვანოთ, რომ მოსახლეობას უხვად ჰქონდეს ხორცი, ბოსტნეული, თევზი და სხვა პროდუქტები. აი რა გვსურს ჩვენ და რაზე ვმუშაობთ. (ტაში).

ამის მისაღწევად ჩვენ კვლავაც გულმოდგინედ განვაგრძობთ ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის. (ტაში). ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ ბრძოლას იმისათვის, რომ შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა. (ტაში). ჩვენ

(**დასასრული მე-2 გვერდზე**)

# ავამაღლოთ საწარმოო თათბირების როლი

მთელ საბჭოთა ქვეყანაში დღითი-დღე უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. სახელოვანი ტრადიციების მიხედვით მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ახალი და ახალი შრომითი გმირობით აღნიშნავენ ყრილობისათვის მზადებას. ბევრმა საწარმოო კოლექტივმა ვადამდე გაბალდა ხუთწლედით გათვალისწინებული პროგრამა და დიდი ხანია პროდუქციას იძლევა ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით. ეს წარმატებები იმის შედეგია, რომ კომუნისტურმა პარტიამ შემოქმედებითი აღმავლობისათვის დარაზმა მილიონობით მშრომელი.

საწარმოთა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა კიდევ უფრო აამაღლონ მასების შემოქმედებითი აქტივობა, წარმართონ მათი ღონისძიებანი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად, დაეხმარონ ჩამორჩენილ საწარმოთა კოლექტივებს მოწინავეთა დონემდე ამაღლებაში. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის საწარმოო თათბირებს ფაბრიკა-ქარხნებში. ეს არის სოციალისტური წარმოების გაუმჯობესებაში მილიონობით მშრომელის მონაწილეობის ქმედითი ფორმა, მრეწველობის მუშაობის ნაკლოვანებათა ქვემოდან კრიტიკის ტრიბუნა.

საწარმოო თათბირებზე მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები განიხილავენ სამეურნეო ხელმძღვანელთა მიერ დასახულ ღონისძიებებს, ამჟღავნებენ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს მუშაობაში, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, შეაქვთ წინადადებანი, რომლებიც ეხმარებიან წარმოებას მუშაობის გაუმჯობესებაში. საწარმოო თათბირები ხელს უწყობენ შრომის მოწინავე მეთოდების, ყოველივე იმ ახლის დანერგვას, რაც სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში წარმოიშობა.

მაგალითად, საწარმოო თათბირების სისტემატურად მოწყობისა და თათბირებში მუშათა უმრავლესობის აქტიური მონაწილეობის მეოხებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წარმოების შინარეზერვების გამოვლინება სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. საამქროებში საქმიანად და შინაარსიანად ეწყობა საწარმოო თათბირები, რომლებისთვისაც წინასწარ გულდასმით ემზადებიან. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ყურადღებით ეპყრობიან მუშა-მოსამსახურეთა მიერ წამოყენებულ წინადადებებს, იბრძვიან მათი განხორციელებისათვის. რეგულარულად იმართება საწარმოო თათბირები მეოთხე საამქროში, სადაც საამქროს უფროსად არის ხ. სარჯველაძე, ხოლო საამქროს კომიტეტის თავმჯდომარედ — მ. არშინოვი. აქ განახორციელეს მტვირთავთა ბრიგადის ხელმძღვანელის ჰ. კეკელიძის წინადადება, რამაც საგრძნობლად შეამცირა რკინიგზის ვაგონებში ნავთობბიტუმის დატვირთვა და 40 პროცენტით გაადიდა მტვირთავთა შრომის ნაყოფიერება. ასევე კარგად მუშაობენ მე-16 საამქროში. აქ განახორციელეს მოწყობილობის კაპიტალური შეკეთების რაციონალიზატორული ღონისძიება, რის შედეგადაც საამქროს კოლექტივმა შეძლო მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით მილიონი მანეთის პროდუქცია დაემზადებინა.

კარგად, ორგანიზებულად ეწყობა საწარმოო თათბირები აგრეთვე თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ და საბურთალოს აგურის ქარხნებში, ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში და ბევრ სხვა საწარმოში.

მაგრამ არიან ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, სადაც სათანადოდ ვერ აფასებენ და უგულებელყოფენ საწარმოო თათბირის როლს. ცუდი მდგომარეობაა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემის ბევრ საწარმოში, მათ შორის ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა ჩამორჩება გეგმის შესრულებაში, დიდია წუნით გამოწვეული ზარალი, დაბალია შრომის დისციპლინა, აქ ერთხელაც არ მოუწვევიათ საწარმოო თათბირი.

საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში შექმნილი ასეთი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს, რომელიც ქმედით დახმარებასა და კონტროლს არ უწევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს საწარმოო თათბირების ორგანიზებულად ჩატარებაში.

მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში საწარმოო თათბირებისადმი არასწორი დამოკიდებულება თავს იჩენს იმაშიც, რომ თათბირებს იწვევენ „სახელდახელოდ",. სასადილო შესვენების დროს. ამის გამო დიდმნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ ნაჩქარევად, ფორმალურად.

მრეწველობის შემდგომი განვითარების, ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების ინტერესები მოითხოვენ, რომ წარმოების ხელმძღვანელები უფრო ხშირად ეთათბირებოდნენ მასებს, ანგარიშს უწევდნენ მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წინადადებებს. ამის ერთ-ერთი გზაა საწარმოო თათბირების სისტემატური მოწყობა. საწარმოთა დირექტორები თავიანთ საქმიანობაში ერთმმართველობის პრინციპის დაცვისას ფართოდ უნდა ეყრდნობოდნენ აქტივს, რისთვისაც რეგულარულად უნდა ეწყობოდეს საწარმოო თათბირები.

საწარმოთა თათბირების საქმიანობის გაუმჯობესებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. საკავშირო პროფსაბჭოს მე-3 პლენუმმა პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად რეგულარულად მოაწყონ საამქროებში, უბნებსა და ბრიგადებში საწარმოო თათბირები, სადაც განხილულ უნდა იქნას წარმოების აქტუალური საკითხები: ახალი მანქანებისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მოწყობილობის მოდერნიზაცია, წარმოების ნოვატორთა მეთოდების გავრცელება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, სამუშაო ადგილზე სისუფთავისა და წესრიგის დამყარება და სხვ. საჭიროა მოეწყოს მეზობელი ბრიგადების, უბნების, საამქროების, ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო თათბირები, რათა განვიხილოთ ურთიერთპრეტენზიები გეგმების შესრულების შეფერხების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და სხვა ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც ხელს უშლიან წარმოების მეზობელი უბნების მუშაობას. აუცილებელია მოეწყოს სისტემატური კონტროლი საწარმოო თათბირებზე მიღებულ წინადადებათა შესრულებისადმი.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მუდმივი დახმარება გაუწიონ სამეურნეო ხელმძღვანელებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს საწარმოო თათბირების როლის ამაღლებაში, რათა ეს თათბირები გავხადოთ სოციალისტური მრეწველობის შემდგომი წარმატებისათვის ბრძოლის მძლავრ საშუალებად.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მოსკოვის მეტროპოლიტენისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ დამთავრდა ლენინგრადის მეტროპოლიტენის მშენებლობა და მას მიეკუთვნა ვ. ი. ლენინის სახელი, აგრეთვე იმის აღსანიშნავად, რომ დედაქალაქის მეტროპოლიტენმა თავისი ოცი წლის მუშაობის მანძილზე საყოველთაო აღიარება დაიმსახურა, როგორც სანიმუშო საბჭოთა მეტროპოლიტენმა, მიეკუთვნოს მოსკოვის მეტროპოლიტენს კომუნისტური პარტიის დიდი ბელადისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინის** სახელი და ამიერიდან მოსკოვის მეტროპოლიტენს ეწოდებოდეს: **„მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენი"**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 25 ნოემბერი.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტროპოლიტენის სადგურ „ოხოტნი რიადის" სახელწოდების შეცვლის შესახებ

მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობასა და მუშაობის ორგანიზაციაში ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის დამსახურების აღსანიშნავად სადგურ „ოხოტნი რიადს" ეწოდოს „ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის" სადგური.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 25 ნოემბერი.

# ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ინდოეთში

## ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

ვიბრძოლებთ „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის, ვიმუშავებთ იმისათვის, რომ განვითარდეს ვაჭრობა ყველა ქვეყანას შორის. ჩვენ ვიზრუნებთ იმისათვის, რომ განვითარდეს მეგობრული კონტაქტი ხალხებს შორის. ამას მოითხოვს ცხოვრება. ეს სჭირდება კაცობრიობას.

კაცობრიობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ძალგვიძს. ჩვენ არ შეგვიძლია შევასუსტოთ ჩვენი ღონისძიებანი, უნდა დავრაზმოთ ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა ვაიძულოთ მთელი რიგი ქვეყნების აგრესიულად განწყობილი წრეები ნაკლები ილაპარაკონ ომზე და მეტი — კონტაქტებზე, სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებასა და საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციაზე.

თუ მე ვთქვი რაიმე არასასიამოვნო ვინმესთვის, გთხოვთ მაპატიოთ. **(გამოცოცხლება დამსწრეთა შორის, ტაში).** მე მსურდა უმთავრესად გამომეთქვა ჩემი მხურვალე მეგობრული გრძნობები თქვენი დიდი ხალხისადმი, მეამბნა მთელი საბჭოთა ხალხის უაღრესად მეგობრულ გრძნობებზე ინდოეთის ხალხებისადმი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას, ერთხელ კიდევ გამოვთქვამ ჩვენს დიდ მადლობასა და მადლიერებას ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ნერუსადმი, შესანიშნავი ადამიანისა და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისადმი, რომელმაც ჩვენი დელეგაცია მოიწვია თქვენს დიდ სტუმართმოყვარე ქვეყანაში. **(ტაში).**

გაუმარჯოს ინდოეთის ხალხთა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას!

ჰინდი-რუსი ბჰაი-ბჰაი! **(ხანგრძლივი ტაში).**

• • •

საღამოთი ქალაქში ილუმინაცია იყო მოწყობილი. მცხოვრებთა აზრით, ბანგალორში ჯერ არასოდეს არ ყოფილა ხალხის ასეთი მოზღვავება, როგორც დღეს, როცა მისმა მოქალაქეებმა მოაწყეს აღფრთოვანებული, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო დემონსტრაცია ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის პატივსაცემად.

ბანგალორში საბჭოთა სტუმრების ყოფნა დამთავრდა სამხრეთ ინდოეთის ხალხური ცეკვების კონცერტით, რომელიც მოაწყო მაისორის შტატის მთავარმა მინისტრმა. კონცერტის დამთავრების შემდეგ სტუმრებს მიართვეს სამახსოვრო საჩუქრები და მთავარმა მინისტრმა კ. ხანუმანთჰაიამ და ნ. ა. ბულგანინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

უტაკამუნდი **(მადრასის შტატი)**, 27 ნოემბერი. **(საქდესის სპეც. კორ.).** დილის 10 საათზე ადგილობრივი დროით თვითმფრინავი, რომლითაც ბანგალორიდან გამოფრინდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, დაეშვა მადრასის შტატში სამხრეთ ინდოეთის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ცენტრის — ქალაქ კოიმბატორის აეროდრომზე. აქ სტუმრებს შეხვდნენ მადრასის შტატის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი შ. რ. სეტჰუპათჰი და ადგილობრივ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლები. აეროდრომზე შეიკრიბა მრავალი ხალხი ყვავილების გირლანდებითა და ალმებით. აეროდრომის გამოსასვლელთან სტუმრების პატივსაცემად დააყენეს ოქროს ალიკაპებითა და ცისფერი ყაჯრებით, ზურგზე მაღალი ფერადი ქოლგებით სადღესასწაულოდ მორთული ექვსი გიგანტური სპილო.

ქალაქში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგის ტრიბუნაზე საბჭოთა სტუმრებს ქალაქის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მიართვეს ტრადიციული ყვავილის გირლანდები. ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მისალმებით მიმართეს შეკრებილთ.

მე, ამხანაგმა ხრუშჩოვმა და ჩვენთან ერთად ჩამოსულმა ჩვენმა მეგობრებმა, თქვა ნ. ა. ბულგანინმა, ჩამოგიტანეთ საბჭოთა ხალხის მხურვალე მეგობრული სალამი. საბჭოთა ხალხი მოხარულია, რომ მას და დიდ ინდოელ ხალხს შორის კარგი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ეს მეგობრობა მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის დასაყრდენი იქნება. საბჭოთა ხალხს სძულს ომი ისეთივე ძალით, როგორითაც თქვენ გძულთ იგი.

მადლობა გადაიხადა რა გულითადი მიღებისათვის, რომელიც საბჭოთა დელეგაციას გაუწიეს კოინბატორში, ნ. ა. ბულგანინმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობას.

შემდეგ გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელმაც შეკრებილთ გადასცა გულწრფელი მეგობრული გრძნობები საბჭოთა ხალხის სახელით, რომელიც დიდი პატივისცემით და სიყვარულით არის გამსჭვალული ინდოეთის ხალხებისადმი. მაშ განვამტკიცოთ ეს დიდი მეგობრობა და სიყვარული ჩვენს ხალხებსა და მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ხალხს შორის, განაცხადა მან. ჩვენ ამ მეგობრობის განმტკიცება სხვა ხალხების საზიანოდ როდი გვინდა. ჩვენ გვინდა, რომ მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს შორის არსებობს, არსებობდეს აგრეთვე ყველა სხვა ქვეყანას შორის.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირის ხალხებისა და დიდი ინდოეთის რესპუბლიკის ხალხების მარადიულ ძმურ მეგობრობას.

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს მიტინგის მონაწილენი მქუხარე ტაშითა და მოწონების შეძახილებით შეხვდნენ.

მიტინგის დამთავრების შემდეგ სტუმრები წავიდნენ ინდოეთის ერთ-ერთ თვალწარმტაც რაიონში — ცისფერ მთებში (ნილგირი), რომლებიც მდებარეობენ კოინბატორიდან 60 მილზე. გზას მთის კურორტ უტაკამუნდამდე, რომელიც გადის ცისფერი მთების ცენტრში ზღვის დონიდან 2.500 მეტრ სიმაღლეზე, საბჭოთა სტუმრებმა დაახლოებით ხუთი საათი მოანდომეს. გზად ამხანაგებმა ხრუშჩოვმა და ბულგანინმა მადრასის შტატის ხელისუფალთა მიწვევით დაათვალიერეს ამ შტატის მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ვადამადურაიში მათ დაათვალიერეს ქოქოსისა და ბანანის პლანტაცია, სადაც დალიეს ქოქოსის რძე, და პლანტაციის პატრონის თხოვნით იქ ყოფნის სამახსოვროდ დარგეს ახალგაზრდა ქოქოსის პალმა. გზაში ნ. ს. ხრუშჩოვმა და ნ. ა. ბულგანინმა დაათვალიერეს პალმის მეორე პლანტაცია და ბრინჯის ნათესები. ცხელმა ტროპიკულმა ჰავამ და ნაყოფიერმა ნიადაგმა ეს რაიონი გადააქცია ინდოეთის აყვავებულ ბაღად.

ყველგან, სადაც სტუმრები ჩერდებოდნენ, მათ უაღრესად მეგობრულად და გულთბილად ხვდებოდნენ ხელისუფლები, ფერმერები და ფერმების მუშაკები.

უტაკამუნდამდე გზის უკანასკნელი მონაკვეთი გადიოდა ველებზე და ცისფერი მთების ხეობებში, ევკალიპტის ჭალებით დაფარული კლდეებიდან და კალთებიდან მომდინარე კასკადების მახლობლად. საკურორტო ქალაქ უტაკამუნდში, მთის რაიონის ცენტრში სტუმრებს მოედანზე ელოდა ათასობით მცხოვრები. ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი, რომლებსაც მოსახლეობა მხურვალედ მიესალმებოდა, წავიდნენ მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში.

ნაშუადღევს ბულგანინმა და ხრუშჩოვმა დაათვალიერეს უტაკამუნდის მახლობლად მდებარე ჩაისა და ყავის პლანტაცია. შემდეგ საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს ამ პლანტაციასთან არსებული ჩაისა და ყავის პატარა ფაბრიკები. უტაკამუნდში სტუმრები გაატარებენ დღევანდელ საღამოს, ხოლო ხვალ კოინბატორიდან მადრასში გაფრინდებიან.

## დარბაზობა მაისორის შტატის მთავარ მინისტრთან

ბანგალორი, 27 ნოემბერი. **(საქდესის სპეც. კორ.).** 26 ნოემბერს საღამოს დარბაზობის დროს მაისორის შტატის მთავარ მინისტრთან ქალაქ ბანგალორში მთავარმა მინისტრმა კ. ჰანუმანთჰაიამ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

თავის სიტყვაში მთავარმა მინისტრმა კ. ჰანუმანთჰაიამ თქვა:

მოხარული ვართ მივესალმოთ ჩვენს შორის სსრ კავშირის ორ ესოდენ გამოჩენილ ხელმძღვანელს. თქვენმა ჩამოსვლამ ჩვენს ქვეყანაში გაახარა 360 მილიონი ინდოელი. ასეთი თვალსაჩინო ხელმძღვანელების ჩამოსვლა ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენაა. ეს განსაკუთრებით სწორია ამ შემთხვევაში, რადგან თქვენს ჩამოსვლას დიდი და კეთილნაყოფიერი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსათვის. ჩვენს ორ დიდ ქვეყანას შორის მეგობრობა ახალი რამ როდია, მაგრამ იგი ახლა უფრო განმტკიცდა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის წინ რუსეთი იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის ბრჭყალებში იყო. რუსეთი ღარიბი ქვეყანა იყო, ჩამორჩენილი ქვეყნების რიცხვში ითვლებოდა. ახლა, ლენინისა და მის განმგრძობთა ხელმძღვანელობის მეოხებით რუსეთი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და გავლენიანი ქვეყანა. ის, რომ მთელი უდიდესი ქვეყნის სახე ესოდენ ღრმად გარდაიქმნა ერთი თაობის ცხოვრების პერიოდში, თავისთავად სასწაულს მოგვაგონებს. ვფიქრობ, თქვენ კმაყოფილი ხართ იმით, რომ მარტო თქვენს ქვეყანას როდი უსარგებლნია თქვენი შრომის სიკეთით. რუსეთმა ხელი შეუწყო იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ბორკილების შესუსტებას მთელ მსოფლიოში. თქვენმა ღონისძიებებმა — თავიდან აიცილოთ ომი და დაამყაროთ მტკიცე მშვიდობა — მოგიხვეჭეს თქვენ ომისაგან დაღლილი მთელი მსოფლიოს სიმპათია და მადლობა.

ჩვენ ვცხოვრობთ ატომის საუკუნეში, აღნიშნა შემდეგ მთავარმა მინისტრმა. ეს კრიზისული მომენტია კაცობრიობის ისტორიაში. კაცობრიობა ჯერ არასოდეს არ ესწრაფვოდა მშვიდობას ასეთი სიმტკიცით. ამ დროს მთელი თქვენი ენერგია ხმარდება კეთილშობილურ ამოცანას, რომ ატომის ენერგია გამოიყენოთ კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მთავარმა მინისტრმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოელები ტრადიციულად მშვიდობისმოყვარე ხალხია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ინდოეთმა მთელი თავისი ღონისძიებანი მოახმარა მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეს. ამიტომ ინდოეთისა და რუსეთის შეხვედრა, რომელიც თქვენი ჩამოსვლით აღინიშნა, არის ორი დიდი ძალის შეხვედრა, რომლებიც მუშაობენ საერთო მიზნისათვის, მშვიდობის საქმისათვის. სწორედ ეს გრძნობები უდევს საფუძვლად იმ სტიქიურ ზეიმს, რაც თქვენმა ჩამოსვლამ გამოიწვია. თქვენი ჩამოსვლა ახალი დიადი ხანის პრელუდიაა. ჩვენ წავიკითხეთ სიტყვები, რომლებიც თქვენ წარმოთქვით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, გავიგონეთ თქვენი განცხადებანი, რომ ყოველივე შესაძლებელს გააკეთებთ, რათა დაეხმაროთ ჩამორჩენილ ქვეყნებს. თქვენი სიტყვები გამსჭვალულია უბრალოებით, მამაცობით, თავმდაბლობით, ძმური გრძნობებით.

მთავარმა მინისტრმა შემდეგ აღნიშნა, რომ მაისორის შტატში 10 მილიონი მცხოვრებია. მხოლოდ 8 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, განაგრძო მან, რაც ჩვენ მოვიშორეთ იმპერიალიზმისა და ავტოკრატიის უღელი. ინდოეთის ყველა სხვა ნაწილის ხალხთან ერთად ჩვენ დავისახეთ ამოცანა — დავამყაროთ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ტიპის საზოგადოება. თქვენი ვიზიტი, უეჭველია, შთაგონების დამატებითი წყარო იქნება ჩვენთვის ამ დიდი ამოცანის გადაჭრაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა. მიმართა რა მთავარ მინისტრს და დარბაზობაზე მყოფ მაისორის შტატის რაჯპრამუქხს, ნ. ა. ბულგანინმა თქვა:

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სახელით და პირადად ჩემგან მადლობას გიძღვნით თქვენ და თქვენი სახით ბანგალორის ყველა მოქალაქეს განსაკუთრებით გულთბილი მიღებისათვის, რომელიც ჩვენ აქ გაგვიწიეს. ჩვენ ძალიან კარგი შთაბეჭდილება შეგვექმნა მაისორის შრომისმოყვარე ნიჭიერ ხალხზე, მის დიდ მიღწევებზე ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში, ძველი კულტურის განსაცვიფრებელ ძეგლებზე, რომლებიც შექმნეს ნიჭიერმა სახალხო ოსტატებმა.

ჩვენდა სამწუხაროდ, არა გვაქვს დრო, რომ უფრო დაწვრილებით გავეცნოთ მაისორის ცხოვრების ყველა მხარეს, აგრეთვე მის მრავალ ღირსშესანიშნაობას, თუმცა ჩვენ ძალიან გვინდა ამის გაკეთება. ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ აქ ბანგალორის მოქალაქეებთან დამყარებული კონტაქტი წარმატებით გაძლიერდება და განვითარდება მომავალში.

აქ საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი ურთიერთობის განვითარებას. ამ ურთიერთობის მნიშვნელობა ძალიან დიდია, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი განვითარება შეესაბამება ორი ქვეყნის — ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესებს. ამასთან დაკავშირებით მინდა დავიმოწმო ერთი მაგალითი, რომელიც მოწმობს, თუ რა დიდი სარგებლობა აქვს ორივე ჩვენი ხალხისათვის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა ადამიანებსა და ინდოეთის მოსახლეობას შორის. 1948 წლიდან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა დელეგაცია ყოველწლიურად მონაწილეობს ინდოეთის სამეცნიერო კონგრესის სესიებში. ამ წლებში ბევრი საბჭოთა მედიკოსი, სტატისტიკოსი, გეოლოგი, მეტალურგი და სხვა სპეციალისტი იყო ინდოეთში, ხოლო ბევრი თქვენი მეცნიერი იყო საბჭოთა კავშირში. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებასა და რჩევას, რამაც გარკვეული სარგებლობა მოუტანა როგორც ინდოეთს, ისე სსრ კავშირსაც.

ინდოეთის დელეგაციებს საბჭოთა კავშირში კვლავაც ექნებათ ყველა შესაძლებლობა გაეცნონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაყენებას, კულტურისა და ხელოვნების მიღწევებს. მათ შეუძლიათ ყოველთვის იქონიონ იმედი, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მათ საჭირო დახმარებას გაუწევენ და ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრობიან. **(ტაში).**

უშუალო კონტაქტი და მჭიდრო ფართო ურთიერთობა საბჭოთა და ინდოელ ხალხებს შორის სასარგებლოა ორივე ჩვენი ქვეყნისათვის, ხელს უწყობს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, ხოლო ორი დიდი ხალხის მეგობრობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. გაუმარჯოს ინდოელი და საბჭოთა ხალხების მზარდ მეგობრობას! **(ტაში).**

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! **(მქუხარე ტაში).**

## ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი მადრასს ჩავიდნენ

მადრასი, 28 ნოემბერი. **(საქდესის სპეც. კორ.).** დატოვეს რა დღეს დილით უტაკამუნდი, ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები შუადღისას ჩავიდნენ მადრასში — სამხრეთ ინდოეთის უდიდეს სამრეწველო და კულტურულ ცენტრში, რომლის მოსახლეობა მილიონნახევარ კაცს შეადგენს, და უმნიშვნელოვანეს ნავსადგურში ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

მადრასის აეროდრომზე მათ შეხვდნენ მადრასის შტატის გუბერნატორი ს. პრაკასა, მთავარი მინისტრი კ. ნადარი და სხვა ოფიციალური პირები. ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შეასრულეს სსრ კავშირისა და ინდოეთის სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა სტუმრები აეროდრომიდან წავიდნენ მთავრობის რეზიდენციაში, რომელიც მათ მოუმზადეს. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრების ჩამოსვლის დრო შეიცვალა, მათ აეროდრომის ახლო შეხვდა მადრასის უამრავი მცხოვრები, ქალაქის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბევრი წარმომადგენელი. აეროდრომზე და რეზიდენციაში შესვლისას სტუმრებს მიართვეს ტრადიციული ყვავილების გირლანდები.

## თბილისს ჩამოვიდა ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია

28 ნოემბერს თბილისს ჩამოვიდა ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით და რომელსაც მეთაურობს ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრიში. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირში ავსტრიის საელჩოს პირველი მდივანი გრუბმაიერი. დელეგაციას ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ი. ვორობიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფომინი და ავსტრიაში სსრ კავშირის საელჩოს პირველი მდივანი გ. მ. პორტნენკოვი.

ავსტრიის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ვ. ჭირაქაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. გ. მამაცაშვილი, ვ. გ. ქერქაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ლ. გუნია, ნ. ი. მუსხელიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

აეროდრომზე სტუმრებს მოკლე სიტყვით მიესალმა მ. მ. ლელაშვილი.

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის მეთაურმა ა. ფრიშმა, მადლობა გამოთქვა რა გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მას და მის თანამგზავრებს მოუწყეს, თქვა, რომ ავსტრიის პარლამენტის დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების გაძლიერებას და იმ მეგობრობის განმტკიცებას, რომელიც დამყარდა სსრ კავშირისა და ავსტრიის ხალხებს შორის.

გუშინ, 28 ნოემბერს, ავსტრიის პარლამენტის დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ.

დარბაზობამ გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

## იუგოსლავიის ფედერაციულმა სახალხო რესპუბლიკამ სსრ კავშირის მთავრობას შესანახავად გადასცა დოკუმენტი, რომ იგი შეუერთდა სახელმწიფო ხელშეკრულებას ავსტრიასთან

1955 წლის 28 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისაგან სსრ კავშირში დ. ვიდიჩისაგან მიიღო დოკუმენტი, რომ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა შეუერთდა სახელმწიფო ხელშეკრულებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია ვენაში 1955 წლის 15 მაისს.

აღნიშნული დოკუმენტი, მოხსენიებული სახელმწიფო ხელშეკრულების 37-ე მუხლის თანახმად, შესანახავად გადაეცა სსრ კავშირის მთავრობას და ამრიგად 1955 წლის 28 ნოემბრიდან იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა გახდა მონაწილე სახელმწიფო ხელშეკრულებისა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ.

დოკუმენტის შესანახავად გადაცემას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-5 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ფ. ნიკოლაევი, სახელშეკრულებო სამართლის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ე. ვილკოვი, ე. ნ. ნასინოვსკი, ვ. ა. ბრიკინი.

იუგოსლავიის მხრივ — სსრ კავშირში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მინისტრ-მრჩეველი ბ. ოსოლნიკი, საელჩოს მრჩეველი ფ. ბაბიჩი, საელჩოს მდივანი ი. კლიკოვაცი.

## პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად



თბილისის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის „კომსომოლკას“ მქსოველმა ანა ტრეგუბოვამ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ყოველთვიური დავალების 125 პროცენტით შესრულება იკისრა. მოწინავე მქსოველი სასახელოდ ასრულებს ვალდებულებას — ოქტომბრის გეგმა 160 პროცენტით შეასრულა, უკეთეს მაჩვენებლებს აღწევს ნოემბერშიც.

სურათზე: ა. ტრეგუბოვა მუშაობის დროს.

ფოტო შ. გოქაძისა.

### აითვისეს შახტის საპროექტო სიმძლავრე

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეხუთე შახტის კოლექტივმა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას, იკისრა მოკლე დროში მიეღწია საწარმოს საპროექტო სიმძლავრისათვის. სათხრობის მომპოვებელ ყველა უბანსა და ბრიგადაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის მოპოვების გასადიდებლად. შემუშავებულ იქნა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომლის განხორციელებამ და კოლექტივის შეწყობილმა მუშაობამ უზრუნველყო ქვანახშირის სადღეღამისო მოპოვების საპროექტო სიმძლავრის ათვისება.

მუშაობის ტემპებს საგრძნობლად აჩქარებდნენ გვირაბგამყვანები, მებიგეები, მნგრეველები, ექსკავატორებისა და ბულდოზერების მემანქანეები, მეელმავლეები.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით ათობით ტონა ქვანახშირს იღებენ მეოთხე და მეხუთე უბნების კოლექტივები. მეშახტეები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობას, მეტი კოქსვადი ქვანახშირი მიაწოდონ რუსთავის მეტალურგებს.

### დნობათა 90 პროცენტი ჩქაროსნულია

რუსთავი. (საკ. კორ.). პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივმა ნოემბერში განსაკუთრებით გააძლიერა მუშაობის ტემპი. 25 დღეში გამოშვებულია 229 ჩქაროსნული ნადნობი. ნოემბრის მეორე და მესამე დეკადაში ჩქაროსნული მეთოდით ხორციელდება დნობათა 90 პროცენტი, ხოლო 19 ნოემბერს 17 დნობიდან 16 ჩქაროსნული ნადნობი მიიღეს.

ყველაზე მეტად დაწინაურდა ცვლა, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი აკაკი გეფერიძე ხელმძღვანელობს. ცვლის მეფოლადეებმა 25 დღეში ნოემბრის გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგანან მეფოლადეთა ბრიგადირები ზაქარია ყაველაშვილი, ვასილ ბაირაკოვი, გრიგოლ სეფისკვერაძე, დავით გოგოლაშვილი, ნიკოლოზ ორლოვი. თვითეულ მათგანს გეგმის გადამეტებით მიღებული აქვს 200-300 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ფოლადი.

### 11 თვის გეგმა განაღდებულია

ტყიბული. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა ახალი წარმატება მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში — 22 ნოემბერს შეასრულა ქვანახშირის ამოღების თერთმეტი თვის საწარმოო დავალება.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტრესტის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღება 6,7 პროცენტით გაზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 10 პროცენტით.

### წლიური დავალება ვადამდე შეასრულეს

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის მზადების დღეებში ახალ შრომითს გამარჯვებას მიაღწია — 26 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. გამოშვებულია 27.400 ათასი მანეთის პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27.364 ათასი მანეთისა.

ფაბრიკის კოლექტივმა ახალი ძალით გააჩაღა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 2.800 ათასი მანეთის პროდუქცია.

## რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

26 ნოემბერს მუშაობას განაგრძობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული სამეცნიერო სესია მოსკოვის სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლების, დაღისტნის, ყაბარდოს, ჩრდილოეთ ოსეთის, ადიღეს, ჩერქეზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების თანამშრომელთა მონაწილეობით, მიძღვნილი რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

მოისმინეს მოხსენებანი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. გ. ხუციშვილისა „1905 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ა. ოვეტისიანისა „სომეხ ბოლშევიკთა მიერ ლენინური ტაქტიკის დაცვა რუსეთის პირველ რევოლუციაში“, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალის დირექტორის ა. გ. შაჰგელდიევისა „აზერბაიჯანის ბოლშევიკური პრესა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ე. ქ. სარქისოვისა „რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის გავლენა თურქეთზე“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ზ. ზ. აბდულაევისა „რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის გავლენა შუა აღმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე“.

• • •

28 ნოემბერს სესიამ დაამთავრა მუშაობა.

საბოლოო სხდომამ მოისმინა მოხსენებები: აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. ა. დადაშ-ზადესი „1905-1907 წლების რევოლუცია და აზერბაიჯანული ლიტერატურა“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ბ. ასატრიანისა „რუსეთის პირველი რევოლუცია და სომხური ლიტერატურა“ და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. დ. ჟღენტისა „რუსეთის პირველი რევოლუციის ასახვა ქართულ ლიტერატურასა და ქართულ პოეზიაში“. (საქდესი).

პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების გზით

# შევაყვაროთ მოსწავლეებს შრომა

მოსწავლეებში შრომის პრაქტიკული ჩვევების დანერგვა იმის საუკეთესო საფუძველია, რომ აღვზარდოთ კომუნიზმის აქტიური და შეგნებული მშენებელი ახალგაზრდა თაობა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ სკოლების წინაშე მთელი სერიოზულობით დაისვა სწავლებაში პოლიტექნიზმის საფუძვლების დანერგვისა და საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლის ღონისძიებათა განხორციელების ამოცანა.

რუსთავის მე-10 ქართულმა საშუალო სკოლამ ამ ამოცანის განსახორციელებლად გარკვეული მუშაობა გასწია. მასწავლებლების, სკოლის პარტორგანიზაციის, მშობელთა კომიტეტისა და მოსწავლეთა ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი.

სკოლას გასულ წელსვე ჰქონდა პრიმიტიული სახელოსნო მცირე რაოდენობის ხელის იარაღებით. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდანვე მიზნად დავისახეთ ისეთი სახელოსნოს შექმნა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებდა. სკოლის შეფმა — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ სკოლას უსასყიდლოდ გადასცა ერთი სახარატო-საჩარხავი დაზგა, საბურღი, საჭრელი, სალესი და საზეინკლო დაზგები, ტონანახევრიანი ავტომანქანის დეტალების სრული კომპლექტი, გირაგები და სხვა წვრილი იარაღები. ამიერკავკასიის მეტალურგების ტრესტის ხისდამმუშავებელი კომბინატიდანაც ასევე უსასყიდლოდ მივიღეთ სადურგლო დაზგები და იარაღები, შევიძინეთ მრგვალი ელექტროხერხი თავისი დასადგამით. ყველა ეს დაზგა და იარაღი განაწილდა სახელოსნოსათვის განკუთვნილ სამ ოთახში. დავაბეტონეთ საჩარხავი დაზგა, სამუშაო მდგომარეობაში მოვიყვანეთ ყველა სხვა დაზგები, კედლებზე მოვაწყეთ თაროები ავტომანქანის ნაწილებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოსაფენად.

ეს დაზგები სამუზეუმო ექსპონატების მსგავსი რომ არ ყოფილიყო და მოსწავლეები მათს მუშაობას მოქმედებაში გასცნობოდნენ, ამისათვის შევუდექით სკოლის შენობაში სამფაზიანი სპეციალური ელექტროხაზის შემოყვანას. უშიშროების წესების დაცვის მიზნით დაზგების ირგვლივ გაკეთდა მოაჯირები; სახელოსნოში მოვაწყეთ აფთიაქი სასწრაფო დახმარების მედიკამენტებით.

სამფაზიანი დენის ბაზაზე მოვაწყეთ მრგვალი ელექტროხერხი დაზგით და ავტომატური ელექტროგამმალაშინებელი. დაიდგა ხუთი სადურგლო დაზგა, რომელთაგან ორი აღჭურვილია ყველა საჭირო დამხმარე ხელსაწყოთი. სახელოსნოში მოსწავლეთა ძალებით უკვე იჩარხება და კეთდება სკოლისთვის საჭირო ინვენტარი და მოწყობილობა, სრულდება დაზიანებული ინვენტარის მცირე რემონტი. მოსწავლეთა მონაწილეობით სასწავლო წლის დასაწყისში შეკეთდა დაზიანებული კარ-ფანჯრები, 60 მერხი, 15 მაგიდა, დაფები, სკამები და სხვ.

პიონერთა ოთახში კედლების ირგვლივ მინადაფარებულ ვიტრინებში მოთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. ოთახის შუაგულში მაგიდაზე დავდგით თვითნაკეთი აკვარიუმი. მოსწავლეებს შეუძლიათ დაკვირვება მოახდინონ აკვარიუმში მოთავსებულ სხვადასხვა ჯიშის თევზების ცხოვრებაზე.

სასწავლო-საცდელი ნაკვეთი ითვლება სკოლის ძირითად მატერიალურ ბაზად, სადაც მოსწავლეები თეორიას უკავშირებენ პრაქტიკას, იღებენ სასოფლო-სამეურნეო შრომის ჩვევებს. ჩვენმა სკოლამ წელს საცდელი ნაკვეთის მოწყობას სათანადო ყურადღება მიაქცია. შემოიღობა ნაკვეთის ტერიტორია, ნიადაგი გადაიბარა, გაფხვიერდა, დაიყო კვლებად, დაითესა საშემოდგომო კულტურები აგროწესების დაცვით. ამჟამად მიმდინარეობს საცდელი ნაკვეთის ტერიტორიაზე ხეხილის 100 ძირი ნერგისათვის ორმოების მომზადება. სკოლას აქვს ნაკვეთზე სამუშაოდ საჭირო სამეურნეო იარაღები, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, არ შეეფერება V კლასის მოსწავლეთა ასაკს. მოუხერხებელია, რომ მათ ნიადაგი დაამუშაონ დიდი ზომის მძიმე ბარით ან თოხით. სკოლები საჭიროებენ ბავშვებისათვის შესაფერის პატარა ბარებს, თოხებს, სარწყავებს, რკინის ფიწლებს, სასხლავ დანებს და სხვ., მაგრამ ასეთ ინვენტარს, სამწუხაროდ, ვერც სადმე ნახავთ და არც არავინ ამზადებს.

ჩვენი საცდელი ნაკვეთი გაზაფხულისთვის დაემსგავსება მწვანე ლაბორატორიას. კვადრატულ-ბუდობრივად დავთესავთ ბოსტნეულსა და კარტოფილს, გამოვიყვანთ ნერგებს ნეშომპალის ქოთნებში, ჩავატარებთ თესლის ახლებურად დამუშავებას, ხორბლეულის ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვას, ზამთრისათვის მოვაწყობთ სათბურს, რომ თვითეულმა მოსწავლემ თავისი ხელით გაზარდოს ესა თუ ის მცენარე, მოახდინოს დაკვირვება და ცდები, მიიჩვიოს იმას, რომ ნაყოფიერად გამოიყენონ მიწა.

დაწყებით კლასებში სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ხელგარჯილობის გაკვეთილებს. დღემდე ეს გაკვეთილები ეწყობოდა ერთფეროვნად, მხოლოდ ქაღალდისა და მაკრატლის გამოყენებით. ამ უკანასკნელ ხანს ხელგარჯილობის გაკვეთილებზე ვიყენებთ ადვილად დასამუშავებელი მასალების მრავალ სახეს — თიხას, მუყაოს, რბილ თუნუქს, მავთულს, პლასტილინს, ხეს, ქსოვილს, ქაღალდსა და სხვ. ამან ხელგარჯილობის გაკვეთილები უფრო მიმზიდველი და ხალისიანი გახადა მოსწავლეთათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მუშაობაში ბევრად გვიშლის ხელს ხელგარჯილობის, საცდელ ნაკვეთზე პრაქტიკული მუშაობის, ელექტროტექნიკისა და მანქანათმცოდნეობის პრაქტიკუმის სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის უქონლობა. საჭიროა გამოიცეს ასეთი სახის სახელმძღვანელოები, მანამდე კი მასწავლებლებს პერიოდულად უნდა მიეცეთ მეთოდური ხასიათის მითითებანი.

პოლიტექნიკური სწავლების განსახორციელებლად სკოლაში არსებულ ყველა საშუალებას ვიყენებთ იმისათვის, რომ მოსწავლეებში გამოვიმუშაოთ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა. ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას მიაღწია ფიზიკის მასწავლებელმა ა. დურმიშიძემ. იგი თეორიული მასალის გარდა მოსწავლეებს აცნობს მოწინავე სოციალისტური ტექნიკის საფუძვლებს. მაგალითად, სიჩქარის კოლოფის ახსნისას მან დაფაზე კი არ დახაზა ეს კოლოფი, არამედ მოსწავლეებს სკოლის სახელოსნოში პრაქტიკულად აჩვენა მისი მუშაობის პროცესები.

მიმდინარე სასწავლო წელს უფრო მჭიდრო გახდა სკოლის კავშირი შეფთან — ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანასთან. მოსწავლეები განსაკუთრებით დაუახლოვდნენ იმ საამქროებს, საიდანაც ჩვენ მივიღეთ დაზგები და ავტომანქანის ნაწილების სრული კომპლექტი. ქარხნის ავტოსატრანსპორტო საამქროს უფროსის, ჩვენი სკოლის პირველი კლასის მოსწავლის მშობლის პ. გადაბაძის დახმარებით სკოლაში ჩამოყალიბდა მანქანის მძღოლთა კურსები, სადაც მოსწავლეებს მანქანის ნაწილებსა და მისი მუშაობის პროცესებს აცნობენ საამქროს მექანიკოსები. სამაგიეროდ სკოლის მასწავლებლებმა იკისრეს საამქროს თანამშრომლებთან და მუშებთან მოაწყონ ლექციები, სააგიტაციო საუბრები, დაეხმარონ კედლის გაზეთების გამოშვებაში და სხვ.

ამ დღეებში პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა რუსთავის სკოლებში პოლიტექნიზმის განხორციელების მდგომარეობის საკითხი და დასახა საჭირო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით ჩვენი სკოლა, ქალაქის სხვა სკოლებთან ერთად, კიდევ უფრო დაუახლოვდება საწარმოთა ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, რაც მოსწავლეებს გაუღვიძებს შრომისადმი ინტერესს, პატივისცემასა და სიყვარულს.

**შ. ბრაგვაძე,**
რუსთავის მე-10 ქართული საშუალო სკოლის დირექტორი.

# მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი და მასწავლებელი

## ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 135 წლისთავის გამო

★

28 ნოემბერს შესრულდა 135 წელი უდიდესი რევოლუციონერის, გენიალური მოაზროვნის, კარლ მარქსის ერთგული მეგობრისა და თანამებრძოლის ფრიდრიხ ენგელსის დაბადებიდან.

მარქსმა და ენგელსმა პირველად კაცობრიობის ისტორიაში შექმნეს მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესახებ. კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების კანონების ღრმა ანალიზის საფუძველზე მათ მეცნიერულად დაასაბუთეს ბურჟუაზიული საზოგადოების დაღუპვისა და კომუნიზმის გამარჯვების აუცილებლობა. მარქსისა და ენგელსის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ გამოარკვიეს მუშათა კლასის მსოფლიო-ისტორიული როლი როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და კომუნისტური საზოგადოების შემოქმედი კლასისა. ისინი ასწავლიდნენ მუშათა კლასს შეეგნო თავისი როლი, გაერთიანებულიყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მარქსი და ენგელსი ასწავლიდნენ მუშათა კლასს, რომ ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია კაპიტალიზმის დამხობის, პროლეტარული რევოლუციის გარეშე, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს ბურჟუაზიის დათრგუნვას, კომუნისტური საზოგადოების აშენებას. მარქსი და ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ შეუძლებელია მუშათა კლასმა შეასრულოს კომუნიზმის შემოქმედის ისტორიული მისია, თუ მას არ ეყოლა თავისი საკუთარი მუშური პარტია, რომელსაც მარქსი და ენგელსი კომუნისტურ პარტიას უწოდებდნენ.

როგორც ი. ბ. სტალინი გვასწავლის, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი მოძღვრება — მარქსიზმი არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, მეცნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ.

განუზომელია ენგელსის ღვაწლი კაცობრიობის გარდამქმნელი რევოლუციური მოძღვრების — მარქსიზმის შექმნაში.

ენგელსი იყო უდიდესი მეცნიერი. მარქსთან ერთად მან კრიტიკულად გადაამუშავა ყოველივე ძვირფასი და პროგრესული, რაც შექმნილი იყო მოწინავე მოაზროვნეთა მიერ. ენგელსის მეცნიერული შრომები მოიცავენ დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, ბუნებისმეტყველებას, პოლიტიკურ ეკონომიას, კომუნიზმის თეორიას, მსოფლიო ისტორიას, სამხედრო ხელოვნებას.

ეხება რა მუშათა კლასის წინაშე ენგელსის დამსახურებას, ვ. ი. ლენინი წერს:

„ენგელსმა პირველმა სთქვა, რომ პროლეტარიატი არ არის მხოლოდ დატანჯული კლასი; რომ სწორედ ის სამარცხვინო ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიც პროლეტარიატი იმყოფება, შეუჩერებლად მიაქანებს მას წინ და აიძულებს იბრძოლოს თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის. ხოლო მებრძოლი პროლეტარიატი თვითონ უშველის თავის თავს“.

მარქსმა და ენგელსმა თავიანთ უკვდავ ფილოსოფიურ ნაშრომებში — „წმიდა ოჯახი“ ანუ „კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა“, „გერმანული იდეოლოგია“ ჩამოაყალიბეს კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობის — დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლები.

1848 წელს გამოქვეყნდა აზროვნების ორი ტიტანის — მარქსისა და ენგელსის გენიალური შრომა — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ეს ნაშრომი წარმოადგენს კომუნიზმის პირველ საპროგრამო დოკუმენტს, მისი უკვდავი იდეებით ცხოვრობს და იბრძვის მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი.

ენგელსის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ნაწარმოებები — „ანტი-დიურინგი“, „ლუდვიგ ფეიერბახი“, „ბუნების დიალექტიკა“, „კრიტიკული ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიიდან“ და სხვ., რომლებშიც განვითარებულია მარქსისტული ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერული სოციალიზმის იდეები.

მარქსის გარდაცვალების შემდეგ მეცნიერული კომუნიზმის შემდგომი დამუშავება და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა მხოლოდ ენგელსს უხდებოდა. თავისი მეცნიერული მუშაობის მთავარ ამოცანად ამ დროს ენგელსი სთვლიდა მარქსის „კაპიტალის“



II და III ტომების გამოცემას. თუ მარქსი ამბობს, რომ „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოცემას ვერ შეძლებდა ენგელსის დაუხმარებლად, მით უმეტეს შეუძლებელი იქნებოდა „კაპიტალის“ II და III ტომების გამოცემა ენგელსის დაუღალავი შრომისა და თავდადების გარეშე. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „კაპიტალის“ ეს ორი ტომი ორი ადამიანის — მარქსისა და ენგელსის ნაშრომიაო.

ვ. ი. ლენინი მარქსსა და ენგელსს შორის იდეურ მეგობრობასა და თავდადებულ სიყვარულზე წერდა:

„ევროპის პროლეტარიატს შეუძლია სთქვას, რომ მისი მეცნიერება შექმნა ორმა სწავლულმა და მებრძოლმა, რომელთა ურთიერთობა აღემატება თვით ძველთა ყველაზე ამაღელვებელ თქმულებებს ადამიანთა მეგობრობის შესახებ. ენგელსი ყოველთვის, — და, საერთოდ, სავსებით სამართლიანად, — თავის თავს მარქსზე უკან აყენებდა. „მარქსის დროს,—სწერდა იგი ერთ ძველ მეგობარს, — მე მეორე ადგილი მეჭირაო“. მისი სიყვარული ცოცხალი მარქსისადმი და მოკრძალება გარდაცვალებულის ხსოვნის წინაშე უსაზღვრო იყო. ამ მედგარ მებრძოლს და მკაცრ მოაზროვნეს ღრმად მოსიყვარულე გული ჰქონდა“.

უდიდესი მოაზროვნე ენგელსი იყო ამავე დროს მებრძოლი პროლეტარიატის სახელოვანი ბელადი. მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მთელ თავის მოღვაწეობაში ენგელსი განასახიერებდა რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ურღვევ ერთიანობას. ამიტომ იყო, რომ მარქსი და ენგელსი თავიანთი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე იბრძოდნენ პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, მათ ჩამოაყალიბეს „კომუნისტთა კავშირი“, მოუწოდებდნენ ყველა ქვეყნის რევოლუციონერებს შეექმნათ მუშათა კლასის მასობრივი პოლიტიკური პარტიები.

მარქსმა და ენგელსმა ჩამოაყალიბეს მუშათა კლასის პირველი საერთაშორისო გაერთიანება — I ინტერნაციონალი.

მარქსსა და ენგელსს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლა უხდებოდათ ევროპის რეაქციის მხრივ სასტიკი დევნის პირობებში. ამავე დროს ისინი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ მუშათა მოძრაობის შიგნით ყოველგვარ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, ჭედდნენ მუშათა კლასის ერთიანობას, უჩვენებდნენ მას ნათელ გზას სოციალიზმისაკენ.

როგორც ცნობილია, მარქსიზმში მთავარია მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ამ მოძღვრების დასაცავად და განსავითარებლად ენგელსს უხდებოდა უდიდესი ბრძოლის გადატანა სოციალ-დემოკრატიული პარტიების მოღალატე ბელადების წინააღმდეგ, რომლებმაც უარყვეს მარქსის მოძღვრება რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობის შესახებ და წამოაყენეს გამცემლური თეორია კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანი გადაზრდის შესახებ. ამხილებდა რა სოციალ-დემოკრატ ფილისტერებს, ენგელსი ასწავლიდა მუშათა პარტიებს, რომ ისინი უნდა იცავდნენ კლასობრივ პოლიტიკას, პროლეტარიატის დარაზმვას დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად უახლოესი მიზნისათვის — პროლეტარიატის დიქტატურისათვის საბრძოლველად.

ენგელსი აუცილებლად თვლიდა გლეხობის ჩაბმას რევოლუციურ ბრძოლაში მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. პროლეტარიატის ერთადერთ ბუნებრივ მოკავშირეს წარმოადგენს მშრომელი გლეხობა. მასთან კავშირის უქონლად პროლეტარიატი ვერ შეძლებს განთავისუფლდეს. ამიტომ პროლეტარიატი მოწოდებულია გაუძღვეს წინ მშრომელ მასებს მათს ბრძოლაში თავისუფლებისათვის.

ენგელსი მსოფლიო მუშათა კლასს ზრდიდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მას მიაჩნდა, რომ შეუძლებელია თავისუფალი იყოს ერი, თუ ის ჩაგრავს სხვა ერებს. მარქსი და ენგელსი აქტიურად უჭერდნენ მხარს ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, აღფრთოვანებული იყვნენ ამ მოძრაობით.

მარქსი და ენგელსი უდიდეს ინტერესს იჩენდნენ რუსეთისადმი, მისი ისტორიის, სოციალური ურთიერთობისა და კულტურისადმი. ისინი შეუნელებლად ადევნებდნენ თვალყურს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას, დაკავშირებული იყვნენ რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, სწამდათ რუსი ხალხის შემოქმედებითი ძალები. მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში ვხვდებით რუსეთის ცხოვრების ყველა მხარის ღრმა ანალიზსა და შეფასებას. იმისათვის, რომ ყოველმხრივ სცოდნოდათ რუსეთის ცხოვრება და მისი ხალხის დიდი რევოლუციური პერსპექტივები, მარქსმა და ენგელსმა შეისწავლეს რუსული ენა და დედნებში კითხულობდნენ პუშკინს, გრიბოედოვს, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, ნეკრასოვს, სალტიკოვ-შჩედრინს. გასული საუკუნის 80-იან წლებში მარქსი და ენგელსი რუსეთს თვლიდნენ ევროპის რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმად.

უდიდესი რევოლუციონერები, გენიალური მოაზროვნენი მარქსი და ენგელსი მთელ თავიანთ უშრეტ ენერგიას მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს ახმარდნენ.

ენგელსმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის დიადი ბრძოლის საქმეს. მთელი მსოფლიოს რევოლუციონერები მას მიმართავდნენ რჩევა-დარიგებისათვის, დახმარებისათვის. „ყველა ისინი,— წერდა ლენინი, — ეწაფებოდნენ მოხუცი ენგელსის ცოდნისა და გამოცდილების მდიდარ საგანძურს“.

მარქსი და ენგელსი მიგვითითებდნენ, რომ მათი მოძღვრება არ არის დოგმა, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის. მარქსიზმი როგორც მეცნიერება, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ერთ ადგილზე — იგი ვითარდება, მდიდრდება ახალი გამოცდილებით, ახალი ცოდნით.

მარქსიზმის განვითარება ახალ ისტორიულ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში, დაკავშირებულია გენიალური ლენინის, მისი მოწაფისა და თანამებრძოლის დიდი სტალინის სახელებთან.

დიდმა ლენინმა, ოპორტუნისტების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლაში დაიცვა, განავითარა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი. ლენინმა გაამდიდრა მარქსიზმი ახალი მეცნიერული აღმოჩენებით. კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხურის — იმპერიალიზმის ღრმა ანალიზის საფუძველზე ლენინმა შექმნა პროლეტარული რევოლუციის ახალი, დამთავრებული თეორია, ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეორია. ლენინის ამ უკვდავი თეორიით იყო შეიარაღებული ჩვენი პარტია მის დიად ბრძოლაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რომელმაც დასაბამი მისცა კომუნიზმის ერას კაცობრიობის განვითარებაში.

ვ. ი. ლენინმა მარქსისა და ენგელსის დებულებებზე დაყრდნობით შექმნა პროლეტარიატის დიქტატურის მწყობრი თეორია, აღმოაჩინა საბჭოების რესპუბლიკა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმა, მოგვცა მოძღვრება ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შესახებ, გვიჩვენა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებანი და კომუნიზმის აშენების გზები.

კომუნისტურმა პარტიამ თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის მეთაურობით, გაანადგურა გამცემლები და კაპიტულანტები, დაიცვა მარქსიზმ-ლენინიზმი და უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენება. განაზოგადა რა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის უმდიდრესი გამოცდილება და თანამედროვე საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილება, ი. ბ. სტალინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად და მთელ რიგ საკითხებში გაამდიდრა რევოლუციური თეორია ახალი დებულებებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი განვითარება და გამდიდრება თავის ნათელ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მოძმე კომპარტიების ისტორიულ დადგენილებებში, ამ პარტიების ხელმძღვანელთა შრომებსა და გამოსვლებში.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ. ამავე დროშით მიდიან სოციალიზმის გზით სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით იბრძვის საერთაშორისო მუშათა კლასი, იბრძვიან კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრება მთელი მსოფლიოს ხალხებს აღაფრთოვანებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

**რ. ქურციკიძე.**

# საბჭოთა სომხეთის 35 წელი

**შ. არუშანიანი,**
სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

35 წლის წინათ თავისუფლებისმოყვარე და შრომისმოყვარე სომეხი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი ისტორიული მოვლენა მოხდა. სომეხმა ხალხმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განმათავისუფლებელი დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1920 წლის 29 ნოემბერს დაამხო დაშნაკთა ანტიხალხური ბურჟუაზიული ხელისუფლება და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება — მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

სომეხ ხალხს თავის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ძმური დახმარება გაუწია დიდმა რუსმა ხალხმა. კონტრრევოლუციური დაშნაკური ხელისუფლების დამხობაში, უცხოელ იმპერიალისტთა განდევნაში მას დაეხმარა გმირი წითელი არმია, რომლის ძლევამოსილ ნაწილებს ხელმძღვანელობდნენ ჩვენი პარტიის ერთგული შვილები ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, ა. მიქოიანი.

მშრომელთა დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა 1920 წლის 2 დეკემბერს გამოგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ერევანი. სომხეთის რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კასიანს.

თქვენი სახით მივესალმები იმპერიალიზმის მხრივ ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ მშრომელ საბჭოთა სომხეთს. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ ყოველ ღონეს იხმართ ძმური სოლიდარობის დასამყარებლად სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის მშრომელთა შორის“.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა სომეხ ხალხს თავისუფლება, ეროვნული დამოუკიდებლობა და თანასწორუფლებიანობა. სომეხმა ხალხმა სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 35 წლის მანძილზე შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარებაში და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

სომხეთის მშრომელთა ისტორიული მონაპოვარია მოწინავე ინდუსტრიის შექმნა. წარსულში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სომხეთი მრეწველობისა და ტექნიკის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. დაშნაკების ბატონობამ სრულ გაპარტახებამდე და გამოფიტვამდე მიიყვანა სომხეთის ეკონომიკა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საბჭოთა კავშირის ხალხთა და განსაკუთრებით დიდი რუსი ხალხის უანგარო ძმური დახმარების მეოხებით, სომხეთი ინდუსტრიული რესპუბლიკა გახდა. სომხეთის სსრ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1955 წელს 1913 წელთან შედარებით გადიდდა 102-ჯერ, ხოლო 1919 წელთან შედარებით — 1.246-ჯერ. სომხეთის მრეწველობა 1954 წელს 8 საათში უშვებდა 3,8-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე მთელი 1919 წლის განმავლობაში გამოუშვა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ, რასაც კომუნისტური პარტია ახორციელებს, საბჭოთა სომხეთს მოუტანა შესანიშნავი ნაყოფი, საშუალება მისცა მას შეექმნა მძლავრი მრეწველობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომხეთის მშრომელებმა არა მარტო აღადგინეს, არამედ აგრეთვე ძირეულად, უახლესი ტექნიკის ბაზაზე, გარდაქმნეს სპილენძის მაღაროები, შექმნეს სპილენძ-მოლიბდენისა და ალუმინის მრეწველობის ახალი დიდი საწარმოები. საბჭოთა სომხეთი ჩვენს ქვეყანას აძლევს სპილენძს, მოლიბდენს, ალუმინს, ტყვიას. ჩვენი რესპუბლიკა მაღალგანვითარებული ფერადი მეტალურგიის ქვეყანა გახდა. ფართოდ განვითარდა ქიმიური მრეწველობა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აძლევს სევანიტ-ნატრიუმს, კაუსტიკურ სოდას, აზოტმჟავა და გოგირდის მჟავას და სხვ.

სომხეთში ვითარდება მრეწველობის ათობით ახალი დარგი, მათ შორის — რადიოტექნიკის, ჩარხმშენებლობის, კაბელის, სალტეების წარმოება.

დიდი მუშაობაა გაწეული მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ადგილობრივი და სატყეო მრეწველობის შესაქმნელად. აგებულია დიდი საფეიქრო, მაუდის, ტრიკოტაჟის, სამკერვალო, ფეხსაცმლის, კვების საწარმოები.

სომხეთი განთქმულია თავისი საშენი მასალებით. საბჭოთა ხელისუფლების დროს რესპუბლიკაში შექმნილი საწარმოები იძლევიან ცემენტს, კირს, საშენ ქვას, შიფერს, კრამიტს, ცეცხლგამძლე აგურს.

ხალხის სამსახურშია ჩაყენებული რესპუბლიკის ფართო ჰიდროენერგეტიკული რესურსები — აგებულია ბევრი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. 1913 წელს რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე შეადგენდა 3,1 ათას კილოვატს, ხოლო 1954 წელს — რამდენიმე ასეულ ათას კილოვატს. ელექტროენერგიის წარმოება 1954 წელს 1913 წელთან შედარებით რამდენიმე ასეულჯერ გადიდდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სრულიად იცვალა სახე სომხეთის სოფელმა, რომელიც კოლექტივიზაციის გზას დაადგა. 1955 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესი ფართობი 1919 წელთან შედარებით ექვსჯერ და მეტად გადიდდა. შექმნილია მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობისა და მეცხოველეობის ბევრი საბჭოთა მეურნეობა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას თანამედროვე ტექნიკური ბაზა აქვს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მუშაობს ათასობით ტრაქტორი, კომბაინი და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, ავტომობილი. რესპუბლიკაში შექმნილია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფართო ქსელი.

საკოლმეურნეო წარმოებაში ფართოდ ინერგება მოწინავე აგროტექნიკა. ამჟამად მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს სოფლის მეურნეობის რამდენიმე ათასი სპეციალისტი. რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საწარმოები დიდძალ მინერალურ სასუქს უშვებენ სოფლის მეურნეობისათვის. ფართოდ იყენებენ სოფლის მეურნეობაში ელექტრობას.

განუხრელად იზრდება რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ადიდებენ მინდვრების მოსავლიანობას, პირუტყვის პროდუქტიულობას. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1955 წელს 1940 წელთან შედარებით რამდენჯერმე გადიდდა. შესაბამისად გადიდდა კოლმეურნეთა როგორც ფულადი, ისე ნატურალური შემოსავალი.

საბჭოთა სომხეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უდიდესი კაპიტალდაბანდებები იხარჯება. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების 35 წლის მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაბანდებულ იქნა 11 მილიარდ მანეთზე მეტი. ამ კაპიტალდაბანდებებმა საშუალება მისცა სომხეთის მშრომელებს აეგოთ ასობით უახლესი, ტექნიკურად აღჭურვილი ქარხანა, ფაბრიკა, კომბინატი, გაეყვანათ ათობით ახალი დიდი და საშუალო სარწყავი არხი.

სრულიად იცვალეს სახე ჩვენმა ქალაქებმა, მუშათა დაბებმა და სოფლებმა. ისინი კეთილმოწყობილი გახდნენ. სომხეთის დედაქალაქი ერევანი ულამაზესი ქალაქი, დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრია. აქ გაჩაღებულია ფართო მშენებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების 35 წლის მანძილზე სომეხმა ხალხმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია კულტურის, განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგშიც. ამას ცხადად მოწმობს მრავალი ციფრი და ფაქტი. 1914-15 სასწავლო წელს სომხეთში იყო სულ 459 მასობრივი სკოლა, მათ შორის მხოლოდ 7 საშუალო სკოლა. მოსწავლეთა რიცხვი ამ სკოლებში შეადგენდა 34.738-ს. ახლა საბჭოთა სომხეთში 1.192 სკოლაა, აქედან 324 საშუალო სკოლა. მასობრივ სკოლებში სწავლობს 295.237 კაცი. სომხეთი გახდა წერაკითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკა. საბჭოთა ხელისუფლებამდე რესპუბლიკაში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი არ იყო. ახლა აქ შექმნილია სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, პედაგოგიური ინსტიტუტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, რომლებშიც სწავლობს 20 ათასამდე სტუდენტი. რესპუბლიკაში 48 ტექნიკუმია.

სომეხი ხალხის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა, რომელსაც აქვს მრავალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. რესპუბლიკაში არის 2.300-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 121 მეცნიერებათა დოქტორი.

აყვავდა სომეხი ხალხის ეროვნული ხელოვნება. ერევანში მუშაობს ოპერისა და ბალეტის თეატრი, შექმნილია მთელი რიგი საქალაქო და რაიონული თეატრები, კინოსტუდია, ფილარმონია, ცირკი. ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკები, აღფრთოვანებულნი პარტიის მითითებებით, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ აამაღლონ თავიანთი შემოქმედების იდეურობა და მხატვრული ოსტატობა.

სომხეთის ქალაქებსა და სოფლებში შექმნილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი. აქ მუშაობს 1.661 მასობრივი ბიბლიოთეკა, 1.188 კლუბი, 367 კინოდანადგარი, 19 მუზეუმი.

აღმავლობის გზაზეა სომხური საბჭოთა ლიტერატურა. ფართო პოპულარობით სარგებლობს ისეთი მწერლების შემოქმედება, როგორიც არიან ისააკიანი, დემირჩიანი, ზარიანი, ზორიანი, სევუნცი და სხვები. 35 წლის მანძილზე სომხეთში გამოიცა რამდენიმე ათასჯერ მეტი წიგნი, ვიდრე სომეხი ხალხის არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში. ჩვენში გამოდის რუსი კლასიკოსების — პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, გორკის, შოლოხოვის, ფადეევისა და სხვათა შრომები, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებნი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს ალაფრთოვანებენ უკვდავი მარქსისტულ-ლენინური იდეები, რომელმაც უჩვენეს მათ ახალი ცხოვრების გზა. სომხურ ენაზე გამოიცა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ყველა ნაწარმოები, აგრეთვე მარქსისა და ენგელსის შრომების უმრავლესობა. რესპუბლიკაში სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ და ქურთულ ენებზე გამოდის რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთები, მრავალი ჟურნალი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა რესპუბლიკის მშრომელებმა ახალ შრომითს წარმატებებს მიაღწიეს. მრეწველობის სახელმწიფო გეგმა 1955 წლის ათ თვეში შესრულდა 105,1 პროცენტით.

გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. პურის დამზადების გეგმა ვადამდე შესრულდა. კოლმეურნეობებმა სამეურნეო წლის 11 თვეში რძის წარმოება გაადიდეს 27 პროცენტით, სახელმწიფოს ჩაბარდა 20 პროცენტით მეტი ხორცი, ვიდრე 1954 წელს. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებანი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მაღალ პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას მოწმობს ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად.

კანონიერი სიამაყით და აღტაცებით აღნიშნავენ სომხეთის მშრომელნი თავიანთ დიდ დღესასწაულს. სომეხ ხალხს მაღლა უპყრავს ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დროშა. იგი უსაზღვროდ ერთგულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ბრძნული ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის კომუნისტური მშენებლობის გზით.

რესპუბლიკის მშრომელნი ემზადებიან იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით, ღირსეულად შეხვდნენ კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

# უცხოეთის გამოხმაურება საკდესის ცნობაზე საბჭოთა კავშირში თერმოატომგულის იარაღის უკანასკნელი გამოცდის შესახებ

## ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე დაბეჭდა საკდესის ცნობა საბჭოთა კავშირში თერმოატომგულის იარაღის უკანასკნელი გამოცდის შესახებ.

სენსაციური ცნობებიდან საბჭოთა კავშირში წყალბადის ბომბის უკანასკნელი აფეთქების შესახებ და მისი სიძლიერის იმ აფეთქებებთან შედარების შესახებ, რომლებიც ადრე აწარმოეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყურადღებას იპყრობს კომენტარები მთელი რიგი გაზეთებისა, რომლებიც აშკარად უკმაყოფილო და გაღიზიანებული არიან საკდესის ცნობის იმ ნაწილით, სადაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა და მოითხოვს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას.

მაგალითად, გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი", რომელიც ილაშქრებს საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ ატომგულის იარაღის აკრძალვის შესახებ, შეშფოთებულია, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი სწორედ შეერთებულ შტატებს დააკისრებს პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ არ არის მიღწეული პროგრესი განიარაღების და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხში.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, შეერთებული შტატების წინაშე „სერიოზული პროპაგანდისტული პრობლემაა", რადგან, წერს გაზეთი, მსოფლიოში ადამიანთა უმრავლესობა იტყვის: რატომ არ უნდა აიკრძალოს ეს იარაღი. დასავლეთს, აღიარებს „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი", სულ უფრო უძნელდება უარი თქვას საბჭოთა წინადადებებზე.

იმავე თემას ეხება გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი", რომელიც განიარაღების და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის გამო წერს: „ინგლისი, საფრანგეთი და კანადა და ხუთი სახელმწიფოს ქვეკომიტეტის სხვა წევრები ყოველივე შესაძლებელს აკეთებენ იმისათვის, რომ დამალონ თავიანთი უთანხმოებანი ჩვენთან... მაგრამ კონფლიქტი არსებობს".

როგორც იუნაიტედ პრესის კორესპონდენტი აცხადებს, პრეზიდენტის შტაბ-ბინას, სახელმწიფო დეპარტამენტსა და ოფიციალურ პირებს, რომლებიც განიარაღების საკითხებს განაგებენ, ოფიციალურად არ გაუკეთებიათ კომენტარები საკდესის ცნობისათვის და ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებისათვის საბჭოთა კავშირში თერმოატომგულის იარაღის გამოცდის გამო.

მაგრამ ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწემ განიარაღების საკითხებში სტასენმა საკდესის ცნობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „თავის თავს ნება არ უნდა მისცენ სუსტი გახდნენ".

ამასთან ერთად მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში წარმოებული გამოცდა, როგორც ჩანს, „უფრო ნაყოფიერს" გახდის მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ.

## ინგლისი

ლონდონი, 27 ნოემბერი. (საკდესი). საკდესის ცნობამ საბჭოთა კავშირში თერმოატომგულის იარაღის უკანასკნელი გამოცდის შესახებ და ნ. ს. ხრუშჩოვის შენიშვნებმა ამ საკითხზე თავის სიტყვაში, რომელიც ბანგალორში წარმოთქვა, ინგლისის პრესის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. კვირის გაზეთები „ობსერვერი", „სანდი ტაიმსი", „პიპლი" და „სანდი დისპეტჩი" ამ თემაზე პირველი გვერდის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავენ ცნობებს; დანარჩენი გაზეთები აგრეთვე დიდი სათაურებით გამოჰყოფენ მათ. ყველა გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი ბოროტად არ გამოიყენებს ამ იარაღს.

გაზეთი „ობსერვერი" საკდესის ცნობას ბეჭდავს მთლიანად, სხვა გაზეთები ბეჭდავენ მის შინაარსს.

## საფრანგეთი

პარიზი, 27 ნოემბერი. (საკდესი). პარიზის კვირის გაზეთებმა დღეს დაბეჭდეს საკდესის ცნობა საბჭოთა კავშირში თერმოატომგულის იარაღის უკანასკნელი გამოცდის შესახებ. გაზეთებმა დაბეჭდეს აგრეთვე იმ სიტყვის ნაწყვეტები ამ საკითხზე, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა ბანგალორში წარმოთქვა.

გაზეთი „ლუმანიტე დიმანში" გამოჰყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არასოდეს არ გამოიყენებს ბოროტად ატომურ იარაღს და რომ საბჭოთა მთავრობა კვლავ მისი აკრძალვის მომხრეა.

გაზეთმა „ჟურნალ დიუ დიმანშმა" დაბეჭდა საკდესის ცნობა სათაურით „სსრ კავშირი კვლავ მხარს უჭერს ატომური და წყალბადის ბომბების აკრძალვას".

## ინდოეთი

დელი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთის დღევანდელი გაზეთების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირში თერმოატომგულის იარაღის უკანასკნელი გამოცდა, რომლის შესახებაც ლაპარაკია საკდესის ცნობაში და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში, რომელიც მან ბანგალორში წარმოთქვა. გაზეთები ამ ცნობებს ბეჭდავენ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას პირველ გვერდზე დიდი სათაურებით:

გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი": „რუსეთში განხორციელდა წყალბადის ბომბის უპრეცედენტო გამოცდა. ხრუშჩოვის განცხადება ბანგალორში. მტკიცდება განიარაღების პოლიტიკა".

გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი": „რუსეთი აფეთქებს ყველაზე მძლავრ ატომგულის იარაღს. ხრუშჩოვის განცხადება".

გაზეთი „სანდი სტანდარდი": „წყალბადის ბომბის ყველაზე დიდი აფეთქება ახალი ტექნიკის დროს. ხრუშჩოვის განცხადება".

## იტალია

რომი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ცნობამ საბჭოთა კავშირში თერმოატომგულის იარაღის უკანასკნელი გამოცდის შესახებ, რომელშიც ამავე დროს დადასტურებულია საბჭოთა მთავრობის პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას, იტალიის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

გაზეთმა „უნიტამ" თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა საკდესის ცნობა და განცხადება, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა გააკეთა ბანგალორში, განსაკუთრებით მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი იბრძოლებს ატომური იარაღის სრული აკრძალვისათვის.

გაზეთმა „პაეზემ" თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება.

ბურჟუაზიული გაზეთები აგრეთვე ყურადღებას აქცევენ ამ თემას. მაგალითად, „ჯორნალე დ'იტალია" წერს, რომ „ომი აღარ არის პოლიტიკის იარაღი და რომ საჭიროა გამოინახოს სხვა საშუალებანი სადავო საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად და შეიქმნას თანაარსებობის უფრო ადამიანური პირობები..." „იმას, რის მიღწევაც არ შეიძლება ძალადობით, — წერს გაზეთი, — უნდა მივაღწიოთ თანხმობისა და გაგების დახმარებით".

# ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს გამოსვლა

დელი, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი" იუწყება, გახსნა რა 25 ნოემბერს რურკის (უტარ პრადეშის შტატი) უნივერსიტეტთან არსებული წყალთა რესურსების გამოყენების პრობლემათა სასწავლო ცენტრი, სადაც კვალიფიკაციას იმაღლებენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ინჟინრები, პრემიერ-მინისტრმა ნერუმ განაცხადა, რომ ინდოეთი ასრულებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციაზე მიცემულ დაპირებას.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ცვლილებებს, რომლებიც ხდება ან მოხდება ინდოეთში უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე, რევოლუციური ცვლილებების ხასიათი აქვს. მე დარწმუნებული ვარ, თქვა მან, რომ ინდოეთის ზრდა და განვითარება, ახალი ინდოეთის მშენებლობა დამოკიდებულია ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური ცოდნის გავრცელებაზე. ტექნიკა და ინჟინრები არის და იქნება ახალი ინდოეთის ამ მშენებლობის ძირითადი ელემენტი.

ნერუმ მოიყვანა ბჰაკრა-ნანგალის სისტემის მშენებლობის მაგალითი, რათა ეჩვენებინა, თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ამოცანები, რომლებიც უნდა გადაჭრან მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა. პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ინდოეთი ყოველ ღონეს იხმარს, რათა გამონახოს საუკეთესო ინჟინრები და სპეციალისტები, რომლებიც საჭირო არიან ასეთი სამუშაოების განსახორციელებლად. „საჭიროა გავაგებინოთ ხალხს, რომ ინდოეთი შედის მანქანების საუკუნეში, — განაგრძო ნერუმ, — ხალხის საკეთილდღეოდ და არა მის საზიანოდ".

შეეხო რა განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ნერუმ თქვა: „ჩვენ გვინდა, რომ ინდოეთში დადგეს დღე, როცა თვითეულ ბავშვს ჩვენს ქვეყანაში ექნება ყველა შესაძლებლობა მიიღოს ჯეროვანი განათლება. ჩვენ გვინდა უზრუნველვყოთ 14 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის უფასო და სავალდებულო განათლება. მაგრამ ყოველივე ამას დასჭირდება ბევრი დრო, რადგან ახლა ჩვენ არ მოგვეპოვება საკმაო სახსრები". ნერუმ თქვა, რომ განათლებულმა ადამიანებმა და სპეციალისტებმა ინდოეთში უნდა განამტკიცონ კავშირ-ურთიერთობა უბრალო ადამიანებთან.

# ნავთობის ძიების საბჭოთა სპეციალისტები ინდოეთში

დელი, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი" იუწყება, საბჭოთა სპეციალისტებმა, რომლებიც 24 ნოემბერს ჩამოვიდნენ ინდოეთში ინდოეთის მთავრობის მოწვევით, უკვე მიიღეს დავალება. უახლოეს დღეებში ისინი გაემგზავრებიან ასამის, ბიჰარის, დასავლეთ ბენგალიისა და უტარ პრადეშის შტატებში, აგრეთვე საურაშტრასა და რაჯასტანში.

# პრეზიდენტი ტიტო ეთიოპიაში გაემგზავრება

ბელგრადი, 27 ნოემბერი. (საკდესი). საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოში დღეს ოფიციალურად განაცხადეს, რომ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ-ტიტო ეთიოპიის იმპერატორის ჰაილე სელასიეს მიწვევით დეკემბრის დამლევს ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრება ეთიოპიაში.

# ხალხური ტალანტები



ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმატებით გრძელდება ხალხური ტალანტების შემოქმედების დათვალიერება.

დათვალიერების მეორე დღე... სცენაზეა მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკის მომღერალთა გუნდი გ. კაციტაძის ხელმძღვანელობით. დარბაზში დიდებულად ჟღერს სიმღერა პარტიაზე.

ზუგდიდის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ლოტბარი ა. ხარებავა, მოცეკვავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი ო. ვაშაკიძე) ყურადღებას იპყრობს შესრულების ოსტატობით, რეპერტუარის მრავალფეროვნებით.

წულუკიძის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ლოტბარი ო. შალამბერიძე, მოცეკვავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი ვ. ბრეგაძე). წარმატებით ასრულებს სიმღერებს პარტიაზე, ჩვენს დიად სამშობლოზე.

საინტერესო პროგრამით წარსდგა მაყურებლის წინაშე ცხაკაიას ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ლოტბარი ლ. მიმინოშვილი, მოცეკვავეთა ჯგუფის ხელმძღვანელები ო. მანტკავა და ა. მიხანაშვილი).

ფართო პოპულარობა მოიპოვა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივმა. მაყურებელი მოწონებით შეხვდა სიმებიანი კვარტეტისა და საესტრადო ორკესტრის გამოსვლას.

ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი იწყებს სიმღერას „გაუმარჯოს სიჭაბუკეს" (მუსიკა ხ. კაცის, ტექსტი ა. სოფრონოვისა). სიმღერის შემდეგ ანსამბლმა მაყურებელს უჩვენა ცეკვები „განდაგან" (სოლისტები ე. დოლიძე, ნ. დავლაძე, ნოდარ და ნიაზი დევაძეები), „ხორუმი".

კარგი პროგრამა შეუდგენიათ ბათუმის ნავთობგასაღების სამმართველოს, აჭარკოოპკავშირის კლუბის, ბათუმის მასწავლებლის სახლის, სტალინის სახელობის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ღორჯომის სკოლების მასწავლებელთა და სხვა თვითმოქმედ კოლექტივებს.

რესპუბლიკური დათვალიერების დღეებში გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებელი. აი ზოგიერთი მათგანი: ჯ. ცატუროვა სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თბილისის კლუბიდან, ბ. ზონენაშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ი. ნარეკლიშვილი და ნ. კაპანაძე პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან.

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების კონცერტები ცხადყოფს, თუ რა მრავალფეროვანი და დაუშრეტელია ხალხური შემოქმედების საუნჯე.

• • •

**სურათზე:** ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი ასრულებს ცეკვა „ფარცაკუკუს".

ფოტო ვ. გინზბურგისა.

# ა. დ. ქლენტი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასისტენტმა ანა დავითის ასულმა ქლენტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის საბჭოში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ნორმალურ და ზოგიერთ პათოლოგიურ პირობებში კუჭის სეკრეტორულ-მოტორულ ფუნქციაზე ბორჯომის მინერალური წყლის მოქმედების მექანიზმისათვის" (კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევა).

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ა. დ. ქლენტისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

# დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ზაგრებში

ზაგრები, 26 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: სმისლოვი (სსრ კავშირი) — 14,5 ქულა, მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს გროსმაისტერებმა ივკოვმა და მატანოვიჩმა (ორივე იუგოსლავია) — 12,5 ქულა თვითეულს. მეოთხე და მეხუთე ადგილებზე გამოვიდნენ გროსმაისტერები გელერი (სსრ კავშირი) და გლიგორიჩი (იუგოსლავია) — თორმეტ-თორმეტი ქულა. მეექვსე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ოსტატი ბისჰაიერი — 11,5 ქულა, მეშვიდე და მერვე ადგილებს იყოფენ ო'კელი (ბელგია) და ტრიფუნოვიჩი (იუგოსლავია) — თერთმეტ-თერთმეტი ქულა, მეცხრე ადგილზეა ფილიპი (ჩეხოსლოვაკია) — 10 ქულა, მეათე ადგილზე — რაბარი (იუგოსლავია) — 9,5 ქულა, 11, 12 და 13 ადგილები გაიყვეს ბარცამ (უნგრეთი), დიუკშტაინმა (ავსტრია) და მილიჩმა (იუგოსლავია) — 8,5 ქულა თვითეულს, 14 და 15 ადგილები — მინევმა (ბულგარეთი) და ფუდერერმა (იუგოსლავია) — რვა-რვა ქულა, 16 და 17 — კარაკლაიჩმა (იუგოსლავია) და პორეკამ (იტალია) — შვიდ-შვიდი ქულა, მე-18 ადგილზეა პირცი (იუგოსლავია) — 6,5 ქულა, მე-19 ადგილზეა — უდოვჩიჩი (იუგოსლავია) — 6 ქულა და უკანასკნელ, მე-20 ადგილზე — ბერტოკი (იუგოსლავია) — 5,5 ქულა.

გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი.

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი

(1954 წლის გამოშვება)

## ცხრილი

მოგებათა მე-2 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1955 წლის 20 ნოემბერს ქალაქ არზამასში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|
| 160143 | 44*) | 1.000 |
| 160435 | 1—50 | 200 |
| 160685 | 1—50 | 200 |
| 160699 | 1—50 | 200 |
| 160770 | 12*) | 1.000 |
| 160799 | 49*) | 1.000 |
| 160807 | 1—50 | 200 |
| 160958 | 1—50 | 200 |
| 160966 | 1—50 | 200 |
| 160991 | 1—50 | 200 |
| 161028 | 35*) | 1.000 |
| 161087 | 1—50 | 200 |
| 161090 | 1—50 | 200 |
| 161109 | 1—50 | 500 |
| 161123 | 1—50 | 200 |
| 161280 | 31*) | 1.000 |
| 161613 | 1—50 | 200 |
| 161676 | 25*) | 1.000 |
| 161703 | 1—50 | 200 |
| 161716 | 1—50 | 200 |
| 161767 | 1—50 | 200 |
| 162088 | 1—50 | 200 |
| 162249 | 1—50 | 200 |
| 162314 | 1—50 | 200 |
| 162424 | 1—50 | 200 |
| 162451 | 29*) | 1.000 |
| 162520 | 1—50 | 200 |
| 162599 | 1—50 | 200 |
| 162670 | 26*) | 1.000 |
| 162790 | 1—50 | 200 |
| 162896 | 1—50 | 200 |
| 163001 | 1—50 | 200 |
| 163149 | 14*) | 1.000 |
| 163246 | 1—50 | 200 |
| 163363 | 1—50 | 200 |
| 163634 | 1—50 | 200 |
| 163796 | 1—50 | 200 |
| 164122 | 1—50 | 200 |
| 164341 | 27*) | 1.000 |
| 164398 | 1—50 | 200 |
| 164452 | 41*) | 1.000 |
| 164808 | 1—50 | 200 |
| 164853 | 40*) | 1.000 |
| 164904 | 10*) | 1.000 |
| 164942 | 1—50 | 500 |
| 165027 | 22*) | 1.000 |
| 165128 | 1—50 | 500 |
| 165320 | 04*) | 1.000 |
| 165345 | 1—50 | 200 |
| 165379 | 1—50 | 500 |
| 165487 | 1—50 | 200 |
| 165499 | 1—50 | 200 |
| 165609 | 1—50 | 200 |
| 165676 | 1—50 | 200 |
| 165848 | 1—50 | 200 |
| 166097 | 1—50 | 500 |
| 166327 | 22*) | 1.000 |
| 166385 | 32*) | 1.000 |
| 166573 | 1—50 | 200 |
| 166730 | 1—50 | 200 |
| 166854 | 1—50 | 200 |
| 167086 | 1—50 | 200 |
| 167199 | 1—50 | 500 |
| 167330 | 1—50 | 200 |
| 167416 | 27*) | 1.000 |
| 167420 | 1—50 | 200 |
| 167431 | 1—50 | 200 |
| 167475 | 50*) | 1.000 |
| 167483 | 1—50 | 200 |
| 167748 | 34*) | 1.000 |
| 167774 | 1—50 | 200 |
| 167850 | 15*) | 5.000 |
| 168062 | 1—50 | 200 |
| 168309 | 45*) | 1.000 |
| 168472 | 04*) | 5.000 |
| 168732 | 1—50 | 200 |
| 168784 | 1—50 | 200 |
| 168871 | 1—50 | 200 |
| 169018 | 1—50 | 200 |
| 169417 | 1—50 | 200 |
| 169707 | 12*) | 1.000 |
| 170112 | 1—50 | 200 |
| 170172 | 1—50 | 500 |
| 170203 | 1—50 | 200 |
| 170258 | 1—50 | 200 |
| 170486 | 1—50 | 200 |
| 170508 | 1—50 | 200 |

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|
| 170551 | 02*) | 1.000 |
| 170590 | 47*) | 1.000 |
| 170596 | 1—50 | 200 |
| 170599 | 16*) | 5.000 |
| 170685 | 1—50 | 200 |
| 170752 | 1—50 | 200 |
| 170843 | 1—50 | 200 |
| 170943 | 1—50 | 200 |
| 170984 | 11*) | 1.000 |
| 171174 | 36*) | 5.000 |
| 171220 | 1—50 | 200 |
| 171275 | 1—50 | 200 |
| 171418 | 1—50 | 200 |
| 171438 | 1—50 | 200 |
| 171501 | 19*) | 1.000 |
| 171523 | 41*) | 1.000 |
| 171604 | 1—50 | 200 |
| 171755 | 1—50 | 200 |
| 171874 | 16*) | 10.000 |
| 171911 | 49*) | 1.000 |
| 172141 | 19*) | 1.000 |
| 172200 | 1—50 | 200 |
| 172338 | 05*) | 1.000 |
| 172343 | 24*) | 1.000 |
| 172426 | 36*) | 5.000 |
| 172450 | 42*) | 1.000 |
| 172645 | 1—50 | 200 |
| 173192 | 13*) | 1.000 |
| 173200 | 33*) | 1.000 |
| 173347 | 25*) | 1.000 |
| 173398 | 1—50 | 200 |
| 173654 | 1—50 | 200 |
| 173693 | 1—50 | 200 |
| 173906 | 1—50 | 200 |
| 173921 | 17*) | 1.000 |
| 173972 | 09*) | 5.000 |
| 174081 | 1—50 | 200 |
| 174103 | 1—50 | 200 |
| 174208 | 1—50 | 200 |
| 174294 | 1—50 | 200 |
| 174493 | 1—50 | 200 |
| 174538 | 1—50 | 200 |
| 174581 | 1—50 | 200 |
| 174654 | 1—50 | 200 |
| 174797 | 32*) | 5.000 |
| 174830 | 1—50 | 200 |
| 174899 | 1—50 | 200 |
| 175078 | 14*) | 5.000 |
| 175254 | 1—50 | 200 |
| 175283 | 16*) | 1.000 |
| 175286 | 1—50 | 200 |
| 175319 | 1—50 | 200 |
| 175601 | 1—50 | 200 |
| 175708 | 1—50 | 200 |
| 176136 | 1—50 | 200 |
| 176472 | 42*) | 1.000 |
| 176626 | 1—50 | 200 |
| 176650 | 11*) | 1.000 |
| 176709 | 37*) | 1.000 |
| 176714 | 24*) | 1.000 |
| 176827 | 05*) | 1.000 |
| 176853 | 23*) | 1.000 |
| 176918 | 05*) | 1.000 |
| 177003 | 1—50 | 200 |
| 177235 | 25*) | 1.000 |
| 177343 | 29*) | 5.000 |
| 177354 | 1—50 | 200 |
| 177393 | 01*) | 1.000 |
| 177415 | 39*) | 1.000 |
| 177468 | 1—50 | 200 |
| 177765 | 1—50 | 200 |
| 177873 | 1—50 | 200 |
| 178011 | 1—50 | 500 |
| 178087 | 1—50 | 200 |
| 178145 | 1—50 | 200 |
| 178194 | 1—50 | 200 |
| 178198 | 1—50 | 200 |
| 178530 | 1—50 | 200 |
| 178539 | 1—50 | 200 |
| 178640 | 1—50 | 500 |
| 178754 | 15*) | 1.000 |
| 178950 | 1—50 | 200 |
| 179196 | 08*) | 5.000 |
| 179411 | 04*) | 1.000 |
| 179453 | 1—50 | 200 |
| 179460 | 1—50 | 200 |
| 179525 | 22*) | 1.000 |
| 179864 | 1—50 | 500 |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

სახშრომშემსალაროებისა და სახკრედიტის მთავარი სამმართველო.

## ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვალერიან ალექსანდრეს-ძე ზორინი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

# ალბანელი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული

11 წლის წინათ ალბანეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის (ამჟამად შრომის პარტია) ხელმძღვანელობით გაანადგურეს ფაშისტური ძალები და სამუდამოდ განთავისუფლდნენ კოლონიზატორებისა და ბურჟუაზიულ-ფეოდალური ბატონობის უღლისაგან.

ალბანეთი ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ამ პატარა ქვეყნის, განსაკუთრებული სტრატეგიული მდგომარეობა და მისი წიაღისეული სიმდიდრე ძველთაგანვე იქცევდა უცხოელ დამპყრობთა ყურადღებას. მშვიდობისმოყვარე გმირ ალბანელ ხალხს ასეული წლების მანძილზე უხდებოდა ბრძოლა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხების გმირულმა ბრძოლამ დიდ სამამულო ომში და ისტორიულმა გამარჯვებებმა ხელი შეუწყო ალბანეთის რევოლუციური ძალების ზრდას და გადამწყვეტი როლი შეასრულა ალბანელი ხალხის განთავისუფლების საქმეში. 1944 წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ გაანადგურა გერმანელთა ჯარების ძირითადი ძალები და დაიწყო მათი განადგურება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ალბანეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გადამწყვეტი იერიში მიიტანა ფაშიზმის წინააღმდეგ და 1944 წლის 29 ნოემბრისათვის მთლიანად გაათავისუფლა ალბანეთის ტერიტორია უცხოელი დამპყრობლებისაგან.

ამ დროიდან ახალი ერა დაიწყო ალბანეთის ხალხის ისტორიაში. ალბანეთის მშრომელები გახდნენ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი, მთელი ძალაუფლება მათ ხელში გადავიდა, განადგურებულ იქნა ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო წყობილება და შეიქმნა ახალი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო. ალბანელი ხალხი დაადგა დემოკრატიისა და სოციალიზმის მშენებლობის გზას.

ხალხის სურვილისამებრ, 1946 წლის 11 იანვარს ალბანეთის სახალხო კრებამ ალბანეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა.

სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის გამარჯვებამდე ალბანეთი ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო და უცხოელი იმპერიალისტების კოლონიის წარმო-

... უმთავრესად იტალიის კაპიტალთან. იტალიელმა იმპერიალისტებმა ალბანეთი გაიხადეს თავიანთ სტრატეგიულ პლაცდარმად, საქონლის გასაღების ბაზრად და ნედლეულის ბაზად.

11 წლის განმავლობაში ალბანეთის ხალხის ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარების შედეგად ღრმა რევოლუციური გარდაქმნები მოხდა. ალბანეთის მშრომელებმა დროის ასეთ პატარა მონაკვეთში მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკის აღმავლობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარების დარგში და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. ამჟამად ალბანეთში სახელმწიფო სოციალისტური სექტორი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ხელმძღვანელ ძალას და სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების მატერიალურ საფუძველს. ვაჭრობა სახელმწიფოსა და კოოპერაციის ხელშია. წარმატებით შესრულდა სახალხო მეურნეობის განვითარების ორწლიანი (1949-1950) გეგმა. აღდგენილ და გაფართოებულ იქნა იმპერიალისტების ბატონობისა და ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობა. აშენდა 200-ზე მეტი ახალი საწარმო, მათ შორის ი. ბ. სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატი, შაქრის ორი ქარხანა, ბამბისა და ბრინჯის საწმენდი ფაბრიკები, ხის დამმუშავებელი კომბინატი, თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკა, ენვერ ხოჯას სახელობის ლითონდამმუშავებელი ქარხანა და სხვ. აშენდა ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური. მრეწველობის სწრაფი განვითარების შედეგად 1954 წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია 1938 წელთან შედარებით 11,4-ჯერ გადიდდა, ნავთობის მრეწველობის პროდუქცია 4,3-ჯერ, კვების მრეწველობისა — 7,5-ჯერ, ელექტრომრეწველობისა — 19-ჯერ, საშენი მასალების წარმოება — 29-ჯერ, საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია კი — 33,7-ჯერ.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად გაიზარდა და განმტკიცდა ალბანეთის მუშათა კლასი, ამჟამად მუშების რიცხვი 4-ჯერ უფრო მეტად გადიდდა 1945 წელთან შედარებით.

ძირფესვიანად გარდაიქმნა ალბანეთის სოფელი. მშრომელი გლეხობა განთავისუფლდა მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის უღლისაგან. სახალხო ხელისუფლებამ განახორ-

... 1954 წელს 1938 წელთან შედარებით ნათესი ფართობი გაიზარდა 169,7 პროცენტით, ტექნიკური კულტურებისა — 1210,6 პროცენტით, ბამბის მოსავალი — 75-ჯერ. ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების საფუძველზე. ღარიბი და საშუალო გლეხობა უფრო და უფრო რწმუნდება სოფლის მეურნეობის ამ ფორმის უპირატესობაში. 1955 წლის დამდეგს ალბანეთში ითვლებოდა 149 სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივი, რომლებიც აერთიანებენ 7.875 გლეხურ მეურნეობას. კოლექტიური მეურნეობანი მეტწილად მექანიზებულია. ამჟამად სოფლის მეურნეობის ძირითად რაიონებში შექმნილია მტს-ები, რომლებიც აღჭურვილი არიან ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. 1954 წელს 1947 წელთან შედარებით ტრაქტორების რიცხვი 8-ნახევარჯერ გაიზარდა. სოფლის მეურნეობაში ფართოდ იყენებენ მოწინავე აგროტექნიკას, დიდი ყურადღება ექცევა სამელიორაციო სამუშაოებს.

აგრარულმა გარდაქმნებმა ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდებას, მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას. სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად საგრძნობად გაუმჯობესდა მშრომელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა: ლიკვიდირებულია უმუშევრობა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მტკიცდება მუშათა და გლეხთა კავშირი. 1954 წელს ეროვნული შემოსავალი 1951 წელთან შედარებით გაიზარდა 50 პროცენტით. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ფართო მოხმარების საქონლის საცალო ფასები სამჯერ შემცირდა. გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება კვების და ფართო მოხმარების საქონლით. საგრძნობად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა წლიური შემოსავალი. სახალხო ხელისუფლება დიდ ღონისძიებებს ახორციელებს მშრომელთა სოცდაზღვევისათვის, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების კეთილმოწყობისათვის. ფართოდ არის გაშლილი საბინაო მშენებლობა. იზრდება ძველი ქალაქები და იქმნება ახალი ცენტრები. სწრაფად იზრდება ნავთის მრეწველობის ცენტრი ქალაქი სტალინი.

ალბანეთის მშრომელები ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მეცნიერებასა და კულტურას. ძველ ალბანეთში მშრომელების შვილებს არ ჰქონდათ საშუალება ესწავლათ. ამჟამად კი მათ სწავლისათვის შექმნილი აქვთ

... ქმნა უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებანი. წლითიწლობით ვითარდება გამომცემლობის საქმე. ამჟამად გაზეთების გამოცემა გადიდდა 5-ჯერ და წიგნების ტირაჟი 7-ჯერ 1938 წელთან შედარებით.

ალბანელი ხალხი წარმატებით ასრულებს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველ ხუთწლიან გეგმას, რომლის მთავარი ამოცანაა ეკონომიკის, კულტურისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობა.

ალბანელი ხალხის დიდი მიღწევები სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში, სახალხო დემოკრატიული დიქტატურის უპირატესობისა და საბჭოთა კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების მძლავრი მხარდაჭერისა და უანგარო დახმარების შედეგია. საბჭოთა კავშირი, სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ალბანეთს აწვდის პირველხარისხოვან მანქანებს, ელექტროსადგურების, ფაბრიკებისა და ქარხნების მოწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს: ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვ. ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ ალბანელ მეგობრებს საბჭოთა მეცნიერები და სპეციალისტები.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ალბანეთის ხალხის ინტერესებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

ალბანეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად იწონებს ალბანელი ხალხი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა, დაინტერესებულია რა მშვიდობის განმტკიცებით, სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად აქტიურად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა დგას მძლავრ სოციალისტურ ბანაკში. მას მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან.

როგორც ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმედ შეხუმ მიმდინარე წლის 12 მაისს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თათბირზე განაცხადა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა მუდამ ერთგული იქნება მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკისა, სალ კლდესავით იდგება ადრიატიკის ზღვის ნაპირზე, დაი-


## დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

(ი. ჯავახიშვილის ქ. № 1)

1955 წლის 8 დეკემბერს, დღის 2 საათზე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**გივი ვასილის-ძე ჭანიშვილი**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Развитие самодеятельности детей в условиях пионерской работы в школе".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ი. ს. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ჯავახიშვილის ქ. № 1).

## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები აწარმოებენ სიცოცხლის ინდივიდუალურ დაზღვევას.

**სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით**

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და დაწვრილებითი პირობებისათვის მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტს.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.

მოქალაქე შალვა დავითის-ძე ჯინჭარაძემ, მცხოვრებმა არდონის ქ. № 28, აღძრა საქმე ხეთაგუროვის ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე ჟუჟუნა მინას ასულ ცუცქირიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე იუსუფ მუსას-ძე ტახმაზოვმა, მცხოვრებმა ძერჟინსკის ქ. № 26, აღძრა საქმე ალ. ჭავჭავაძის ქ. № 11 მცხოვრებ მოქალაქე ტატიანა ავეტისის ასულ მოსესოვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი იუწყება

**გია შალვას-ძე პაპუაშვილის**

გარდაცვალებას.

დედა პოლია, და თინა ოჯახით იუწყებიან

**ნიკოლოზ იულონის-ძე სიჭინავას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 1-XII, 2 ს. ტყვარჩელიდან, ლენინის ქ. № 2 დაკრძალვა ქ. ოჩამჩირეში.

დედა ნინო, მეუღლე არჩილ, შვილები ვანო, ეთერ, გოდერძი, ძმები ვასო, კოტე, და სონა ოჯახებით იუწყებიან

**თამარ გიორგის ასულ მინდიაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-XI, 7½ ს. გამოსვენება 1-XII, 4 ს. ხუდადოვის ქ. № 46.

ძმა მიტო, დები თამარ, მარგარიტა ოჯახებით იუწყებიან

**ელიზბარ ილიას-ძე ფავლენიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-XI, 8 ს. გამოსვენება 1-XII, 4 ს. ანანურის ქ. № 10.

მეუღლე ეკატერინე, შვილი ვალია ოჯახით იუწყებიან

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის მუ-


პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

უე 06952